საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 20 იანვარი, 2015 წელი.

№10 (7655)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

პარლამენტარის ტრიბუნა

ტრაგედია – თანამედროვე მენეჯერული აზროვნება

თემურ ჭკუასელი:



...ჰოდა, მეც სამართლის სახელით ვკითხულობ, ვინმე დაინტერესდით რამდენი ათასი ადამიანი ჰყავთ გამწარებული, ქონებაწართმეული, სახლ-კარ დანგრეული, შეურაცხყოფილი, ნამუსახდილი, ღირსებააყრილი, ქალიანკაციანად გაუპატიურებული, სულიერად დამახინჯებული, დახეიბრებული, ფსიქოლოგიურად განადგურებული სააკაშვილსა და მის ჯალათებს?! მათგან გამწარებულ ხალხს ხომ ძებნაც არ სჭირდება, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გადაეყრებით...

5

ხელოვნების ახალი ქურუმები – „სიმინდის კუნძული“ და „მანდარინები“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რეჟისორები ზაზა ურუშაძე და გიორგი ოვაშვილი კულტურის სამინისტროს სპეციალური ჯილდოთი – ხელოვნების ქურუმით დააჯილდოვა. რეჟისორები საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კინოს პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდნენ. მთავრობის მეთაურმა და კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ ოსკარზე წარდგენილი ქართულენოვანი ფილმის გადამღებ ჯგუფსა და კინოხელოვანებს გუშინ, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ქართული ფილმების საერთაშორისო წარმატების აღსანიშნავად გამართულ სპეციალურ მიღებაზე უმასპინძლეს.

როგორც ცნობილია, ოსკარზე წარსადგენი უცხოენოვანი ფილმების კატეგორიაში კინოსურათები 83-მა ქვეყანამ წარადგინა, საიდანაც ჟიურიმ 9 საუკეთესო ფილმს შორის ორი ქართული ნამუშევარი – ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ და გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“ შეარჩია. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ოსკარის უცხოენოვანი ფილმების „შორთლისტში“ ერთდროულად ორი ქართული ფილმი მოხვდა.

15 იანვარს ცნობილი გახდა, რომ ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოსთვის ზაზა ურუშაძის ფილმი – „მანდარინები“ იბრძოლებს.

ბანკები მოგებაში ისრჩობიან, ხალხი - სიღარიბეში

ქართული პარადოქსი 7

თედო ჯაფარიძე:

ჩვენ რუსეთისგან მეტ პოზიტივს ველოდებოდით 8

ფართოდ გაახილე თვალები, ევროპა! 3

რომელი მუსლიმანი (ან მართმადიდებელი ქრისტიანი) რა თავში იხლის თანამედროვე ევროპაში ბოლო 40-50 წელიწადში დამკვიდრებულ ღირებულებებს. მუსლიმანების (ისევე, როგორც ქრისტიანების) სურვილი ერთია: როგორც გსურთ ისე იცხოვრეთ ევროპაში, ოღონდ ჩვენს რელიგიურ რწმენას და წმინდანებს ნუ გვიგინებთ, ნუ ცდილობთ ჩვენი მოთმინებიდან გამოყვანას! იცოდეთ, თავგანწირულებს არ გვანალვლებს – შურისმაძიებლებს გვიწოდებთ თუ ტერორისტებს.

ელეგანტური მსახიობი - ხის თხა 9

ჰოროსკოპი

კონკურენციის საგენტო ავტოგაზის ბაზარზე არსებულ დომხალს სწავლობს 2

ძერის მკვლელი თოფის მსხვერპლი მგელი 4

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

დიდება და მადლობა უფალს, რომ ღირსი გავხდით ამ დიდი სიწმინდის

ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც გაუღებს თავის გულის კარს წმინდა სამებას: მამას, ძესა და სულიწმინდას და შევა მის გულში, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ნათლისღების სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ ქადაგებისას განაცხადა.

უწმინდესმა ქადაგებისას აღნიშნა, რომ ეს არის წმინდა სამების გაცხადების დღე, როდესაც იორდანეში ნათელიღო ძე ღვთისამ, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ და მასზე სულიწმინდა „სახითა მტრედისათა“ გადმოვიდა, ზეციდან კი ხმა გაისმა, რომ იგი იყო ძე მისი საყვარელი.

„დღეს მთელი ქვეყანა განიწმინდება. ხილული და უხილავი მტერი დათრგუნულია. ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც გააღებს თავის გულის კარს და წმინდა სამება, მამა, ძე და სულიწმინდა შევა მის გულში. ყოველი ადამიანის გული უნდა გახდეს სავანე წმინდისა სამებისა. აი, დღეს ჩვენ უნდა ვიგრძნოთ ჩვენი უღირსება, დღეს უნდა გავიწმინდოთ ჩვენი სული, გონება, გული, ჩვენი უძლურება და ვთხოვოთ უფალს, შენი ვარ, მაცხოვნე მე, ცოდვილი ვარ, მაგრამ მაცხოვნე მე. დღეს ყოველი ჩვენგანი განიწმინდება ნაკურთხი წყლით. აიაზმა არის ბერძნული სიტყვა და სიწმინდეს ნიშნავს. ეს სიწმინდე უნდა იყოს ყველა ადამიანის სახლში“, — ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესის თქმით, დიდი აიაზმა წელიწადში ორჯერ იკურთხება და იგი ხდება ნათლისღების დღესასწაულის წინა დღეს და ნათლისღებას. პატრიარქმა მიმართა მრევლს, დიდი აიაზმის ნაკურთხი წყალი მცირედით, ყოველდღე მიიღონ და ასხურონ საკუთარ საცხოვრებელს, ქუჩას. პატრიარქმა აღნიშნა, რომ მათ შეუძლიათ, ეს წყალი გაამრავლონ კიდეც მასზე სუფთა წყლის დამატებით. უწმინდესმა დასძინა, რომ ჩვენს გარშემო მრავალი ადამიანია, შემოდიან ჩვენს სახლებში და შემოჰყავთ ბოროტი სული, ამიტომაც პატრიარქმა მრევლს ურჩია, წელიწადში ერთხელ აკურთხონ კარ-მიდამო, სახლი და დაიცვან საკუთარი საცხოვრებელი ხილული და უხილავი მტრებისაგან.

— ეს უდიდესი სასწაულია. ამას კაცის გონება ვერ ახსნის. სულიწმინდის მადლი გადმოდის წყალზე და განიწმინდება მთელი მსოფლიო, — განაცხადა უწმინდესმა.

პატრიარქმა უფალს შესთხოვა, გვაშოროს ბოროტი და ჩვენს სულებში სუფევდეს სულიწმინდის მადლი.

დიდება და მადლობა უფალს, რომ ღირსი გავხდით ამ დიდი სიწმინდის, — ბრძანა უწმინდესმა ქადაგებისას.

გუშინ ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ასევე ჩვილთა საყოველთაო ნათლობა შესრულდა, რომლის დროსაც 1 038-ზე მეტ ჩვილი პატრიარქის ნათლული გახდა.

რა უნდათ სომხებს?

ეკლესიების რელიგიური კუთვნილების გარკვევა კულტურის სამინისტროს კომპეტენცია არ არის, — ამის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ ჟურნალისტებს იმ ინფორმაციის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმადაც სომხურმა მხარემ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე 450 ეკლესიის გადაცემის თხოვნით იუნესკოს მიმართა.

— კულტურის სამინისტროს კომპეტენცია ნამდვილად არ არის რელიგიური კუთვნილების გარკვევა. ამ სიაში მოხსენიებულ და სხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს ვუდგებით როგორც

ძეგლებს და ვზრუნავთ მათზე, მიუხედავად მათი რელიგიური კუთვნილებისა, — აღნიშნა მიხეილ გიორგაძემ.

სომხეთმა იუნესკოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 450 ეკლესიის სომხურად აღიარების თხოვნით მიმართა. არსებული ინფორმაციით, შესაბამისი მიმართვა იუნესკოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიამ გააგზავნა.

აღნიშნულთან დაკავშირებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ანთიძემ განაცხადა, რომ „არის გარკვეული მოსაზრებები, უნდათ ეკლესიების გადაცემა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით აუცილებლად ჩასატარებელია სრულფასოვანი და მასშტაბური კვლევები. საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს სომხური ეკლესიები, მაგრამ რაოდენობაზე ვერაფერს გეტყვით, არა მგონია, ბევრი იყოს. ამ ყველაფერს სრულფასოვანი და ჩამოყალიბებული კვლევა სჭირდება. აქედან გამომდინარე, ნაადრევია ჯერ ამაზე საუბარი, თუ რა საპასუხო ზომები უნდა იყოს მიღებული ქართული მხარის მიერ. პირველ რიგში, მოსაძიებელია, თუ რომელ ეკლესიებზე არის საუბარი, რა არგუმენტაცია აქვთ, მერე საჭიროა მეცნიერული დასაბუთებები და ა.შ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ამ საკითხის შეფასებაც ნაადრევია, — განაცხადა ანთიძემ. მისივე თქმით, ეს ძალიან მგრძნობიარე თემაა და შესაბამისი კვლევების გარეშე საკითხიც ვერც დადგება, არათუ გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.

◎ გადასახადი

ზოგი ბიუჯეტს წაადგება, ზოგიც — მეწარმეებს

საგადასახადო სიახლეები 2015 წელს

2015 წლის პირველ დღეებშივე გაძვირებულმა სიგარეტმა არა მხოლოდ მწეველებს, არამედ მათ ოჯახის წევრებსაც აგრძნობინა თამბაქოზე აქციზის გაზრდის შედეგი. შესაბამისი საგადასახადო ცვლილებები სწორედ 2015 წლიდან ამოქმედდა და წელს კიდევ ერთხელ განხორციელდება, რაც სიგარეტს კიდევ გააძვირებს, პარალელურად კი, იმედია, საბიუჯეტო შემოსავლების შესრულებას წააშველებს ხელს.

ასე მასობრივად საგრძნობი არა, თუმცა, უდავოდ საინტერესოა სხვა საგადასახადო ცვლილებები, რომლებიც ასევე წლევანდლიდან ამოქმედდა და გადამხდელებს ამჯერად გარკვეულ შეღავათს მისცემს. კერძოდ:

2015 წლიდან ერთგვარი საგადასახადო ამნისტია ამოქმედდება. ადრეც გვითქვამს, რომ კანონპროექტში სიტყვა ამნისტია ნახსენები არ არის, თუმცა, იგი სწორედ ამას გულისხმობს. კერძოდ, ჩამოწერას ექვემდებარება:

2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანება;

2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით.

ორივე შემთხვევაში აუცილებელი პირობაა, რომ პირს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდებოდეს, ანუ ამ თარიღის შემდეგ სამეწარმეო საქმიანობა აღარ ჰქონდეს განხორციელებული.

შედარებით უფრო ახალ სამართალდარღვევებს ეხება შემდეგი მუხლი: **ჩამოიწერება საკონტროლო სალარო-აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის ფიზიკური პირისათვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული — დარიცხული და გადაუხდელი — ჯარიმა, რაც მცირე მეწარმეებისთვის, მართლაც, მნიშვნელოვანი შეღავათი შეიძლება იყოს.**

გარდა ამისა, შიდა გადამუშავებაში მოქცეული საქონლის გადამუშავებისთვის გაწეული მომსახურება თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

ასევე საინტერესოა, რომ საგადასახადო დავალიანების გადახდა გადავადდება მათთვის, ვისი საგადასახადო დავალიანების თანხა არ აღემატება 5 ათას ლარს. ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენის გარეშე შეძლებს საგადასახადო დავალიანების გადავადებას ერთი წლით. შედეგად, მცირე ბიზნესი შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას და საწარმოს განვითარებას.

მარტივდება ტურისტული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მექანიზმებიც, რამაც, ინიციატორის აზრით, ტურიზმის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი.

ეტაპობრივად განხორციელდება საგადასახადო შემოწმების, გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადისა და სანქციის დარიცხვის, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადის 3 წლამდე შემცირება — 2017 წლისთვის ეს ვადა უკვე 3 წელი უნდა იყოს.

აქციზთან დაკავშირებული ცვლილებებისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი ცვლილებები, თავისი შინაარსით, მეწარმეთა ხელშეწყობას ემსახურება. ნავარაუდევია, რომ ეს ცვლილებები ბიუჯეტს რეალური და განსაკუთრებით დიდი თანხების დანაკარგად არ დაუჯდება, სანაცვლოდ კი საქმიანი ადამიანები შეღავათების მიღებას შეძლებენ, რაც ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას წაადგება.

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ სააგენტო დასკვნების გამოტანას არ ჩქარობს

კონკურენციის სააგენტო ავტოგაზის ბაზარზე არსებულ დომხალს სწავლობს

არასამთავრობო ორგანიზაცია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოებამ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარეს ავტოგაზის ბაზარზე გამოვლენილი სავარაუდო დარღვევები უკვე გააცნო. როგორც ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი უჩა ძირია აცხადებს, ამის შესახებ განცხადება შეიტანეს კონკურენციის სააგენტოში, რის შემდეგაც სააგენტოში მათთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს. დარღვევები ეხება 2014 წლის აგვისტოში, ერთდროულად ფასების გაზრდას.

„ჩვენ წარვადგინეთ ოფიციალური განცხადება. ავტოგაზის ბაზრობაზე სავარაუდოდ კანონდარღვევით, მწარმოებლების მიერ, შეთანხმებით მოხდა 2014 წლის აგვისტოში 5 თეთრით ფასის ზრდა. მსგავსი მეთოდით მოქმედება არის კანონდარღვევა. ჩვენ წარვუდგინეთ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარეს გამოვლენილი სავარაუდო დანაშაულის შემცველი ფაქტები და მტკიცებულებები, მივიღეთ დაპირება, რომ სააგენტო მათ შეისწავლის“, — განაცხადა ქირიამ.

კონკურენციის სააგენტო ჯერ დასკვნების გამოტანას არ ჩქარობს. მისი ხელმძღვანელი გიორგი ბარაბაძე ამბობს, რომ სააგენტო უკვე 6 მიმართულებით მუშაობს და მათ შორისაა ავტოგაზის თემაც.

„2014 წლის 26 დეკემბერს შემოვიდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის განცხადება „ავტოგაზის“ ფასების მომატებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ამ ეტაპზე იღებენ გადაწყვეტილებას აღნიშნული განცხადების დაშვებადობასთან დაკავშირებით.

კონკურენციის სააგენტო მოკვლევის პროცესში, ყველა სტადიაზე მეთოდოლოგიურად ამუშავებს და აფასებს ყველა იმ მოსაზრებას, რომელიც უკავშირდება ამ ბაზრის სუბიექტთა ქცევას და ბაზარზე არსებულ ფასწარმოქმნის საკითხებს. შესაბამისად, სააგენტო გააკეთებს მაქსიმუმს, რათა მოკვლევის პროცესის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც უპასუხებს კომპეტენტურობისა და ობიექტურობის მაღალ სტანდარტებს, რაც შედის როგორც საზოგადოების, ასევე ბაზარზე მოქმედი სუბიექტების ინტერესებში. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მოკვლევის შუა ეტაპზე, რაიმე სახის ინფორმაციის გამჟღავნება მოკვლევის სავარაუდო შედეგებთან დაკავშირებით დააზიანებს მოკვლევის ინტერესებს და უარყოფითად აისახება მის საბოლოო შედეგზე“, - აცხადებს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე.

ამასობაში საქართველოში საავტომობილო გაზის დისტრიბუციის სფეროში მომუშავე კომპანებმაც ამოიღეს ხმა. კომპანია „ეკოგაზში“ აცხადებენ, რომ ბოლო პერიოდში, გაზზე ფასის აწევა მარტო დოლარის გამყარებას არ უკავშირდება და ეს გაზის იმპორტიორი კომპანია „სოკარის“ მიერ კომპანიებისთვის შესასყიდ ფასზეა დამოკიდებული. თუმცა, კომპანიაში მაინც აცხადებენ, რომ საავტომობილო გაზი უახლოეს პერიოდში, მხოლოდ ლარის სტაბილური, მინიმუმ 2-3-თვიანი გამყარების შემთხვევაში გაიაფდება.

საავტომობილო გაზის გაძვირების მიზეზად „სოკარის“ მიერ დაწესებულ ფასებს ასახელებენ მცირე გაზგასამართ კომპანია „გამაშიც“.

კომპანიის გენერალური დირექტორი დავით ჩახტაური „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ აჟამად, მათთან 1 კუბური მეტრი საავტომობილო გაზი 1.15 ლარი ღირს. ეს ფასი კი, მისი თქმით, დაახლოებით ორი თვის წინ ყველა გაზგასამართმა კომპანიამ 5 თეთრით სწორედ „სოკარის“ მიერ ფასის გაზრდის შემდეგ გაზარდა.

„მომწოდებელმა ლარით რომ შეამციროს ფასი, საავტომობილო გაზის ფასს მეც იმ დღესვე ლარით გავაიაფებ“ - აცხადებს ჩახტაური. იგი ასევე ამბობს, რომ დახმარებისთვის შესაძლოა, პრემიერ-მინისტრსაც მიმართონ.

კომპანია „სოკარში“ კი საავტომობილო გაზის სარეალიზაციო ფასის ფორმირებაზე მოქმედ ორ ძირითად ფაქტორზე საუბრობენ.

„ამის პირველი მიზეზია ლარის გაცვლითი კურსის რყევა უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში მისი გაუფასურების მიმართულებით. მეორე კი - დამატებითი ინვესტიციის განხორციელებაა, რომელიც ავტოგაზგასამართი სადგურების თანამედროვე დონეზე და უსაფრთხოდ ფუნქციონირებისათვის ტექნიკური აღჭურვისთვისაა საჭირო. მათი შესყიდვა განხორციელდა საბანკო კრედიტების მეშვეობით, რომელთა ფინანსური მომსახურება მკაცრად რეგლამენტირებულია და მოითხოვს თითოეულ სადგურზე განხორციელებული ინვესტიციების დროის განსაზღვრულ პერიოდში დაბრუნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია ღებულობს ჯარიმებს“, — განმარტა „კომერსანტთან“ კომპანიის კორპორატიული ბიზნესის კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ზუბიტაშვილმა.

იგი განმარტავს, რომ ბაზარზე მოქმედი წესის მიხედვით, მისი ნებისმიერი მოთამაშის მიერ ფასის ცვლილებას, დაუყოვნებლივ მოსდევს დანარჩენი მონაწილეების მხრიდან ფასების შესაბამისი კორექტირება.

გეძა დანელია

ზღვარგადასული „გამოხატვის თავისუფლება“, როგორც ადამიანის უფლება, და შელახული ღირსების დაცვა, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება

ადამიანი, როგორც მოაზროვნე არსება ანუ „ჰომო საპიენსი“, თავის აზრს ყოველთვის გამოხატავდა და ხშირად სიმართლესაც ამბობდა, თუმცა, სიმართლის პირში მთქმელს „ცხენიც შეკაზმული ჰყავდა“ ხოლმე (გააჩნია, ვის ეუბნებოდა ამ სიმართლეს!). ისიც უნდა ითქვას, რომ, რაც არ უნდა სიმართლე ეთქვა კაცს, თუ იგი თან დედის გინებას ან ოჯახის შეურაცხყოფასაც მოაყოლებდა, მაშინ მისი სიმართლე უკანა პლანზე ინაცვლებდა და მას შეკაზმული ცხენიც ვეღარ უშველიდა, რადგანაც <u>ღირსების შელახვას არავინ არავის არასდროს არ პატიობდა, ამ დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არ ჰქონდა და არც დღეს აქვს!</u>

საუბარი პარიზის მოვლენებზე მინდა დავიწყო, მაგრამ სატირული ყოველკვირეულის, ჟურნალ „შარლი ებდოს“ რედაქციაში დატრიალებული ტრაგედია ადვილად საანალიზო რომ გახდეს, ცხადია, სხვა მაგალითებიც უნდა მოვიშველიო შესადარებლად. დავუშვათ და, პირადად მე ან ჩემ ოჯახს უპატიებელი შეურაცხყოფა მოგვაყენა ვინმემ. მაგალითად, ვიღაცა ერთმა პიროვნებამ ან ჟურნალმა (ანუ ადამიანთა ჯგუფმა) ჩვენი გამასხარავების მიზნით გამოაქვეყნა „მეგობრული“ შარჟები – დაგვხატეს შიშვლები, ხან ფეხაწეულები და ხანაც წაკუზულები, ხან ანალური და ხანაც ორალური სექსით დაკავებულები, ცოლებს და დედებს კი ბოზები, უკაცრავად, მეძავები უწოდეს „ზრდილობიანად“! როგორ უნდა მოვიქცე ასეთ შემთხვევაში დემოკრატიულ საზოგადოებაში აღზრდილი, სხვისი უფლებების პატივისმცემელი და კანონმორჩილი კაცი? თუ აფექტის მდგომარეობაში გამოუსწორებელი შეცდომა არ ჩავიდინე და ჩემი თავის ხელში აყვანა მოვახერხე, ცხადია, სასამართლოში ვუჩივლებ ჩემი და ჩემი ოჯახის შეურაცხმყოფლებს და მათ დასჯას მოვითხოვ, აგრეთვე, – შესაბამის კომპენსაციასაც.

მაგრამ, დავუშვათ და, მე აღარა ვარ ცოცხალი, მაშინ? მაშინ ანალოგიური ჩივილის უფლება აქვს ჩემი ოჯახის ნებისმიერ წევრს. თუ არც ისინი არიან ცოცხლები? მაშინ – ნათესავებს, მეგობრებს, მოწაფეებს და ა.შ. თუ არც ასეთები აღმოჩნდნენ, მაშინ? მაშინ, რა დიდი მიხვედრა უნდა, ეს სახელმწიფომ უნდა გააკეთოს თავისი ინიციატივით! სახელმწიფოს არც უნდა სჭირდებოდეს ოჯახის წევრის ან ვინმეს საჩივარი, ყოველი მოქალაქის (და არა შერჩევითად, – ქონებრივი სტატუსის თუ რელიგიური კუთვნილების მიხედვით) ღირსების დაცვა კანონის ძალით, ისედაც არის მისი უპირველესი მოვალეობა, მით უმეტეს, თუ მას მართლა სურს თავიდან აიცილოს ვენდეტა, განუკითხაობა და ქაოსი ქვეყანაში!

თუკი ჩივილმა შედეგი არ გამოიღო და სასამართლო, ანუ სახელმწიფო მკაცრი ზომების ნაცვლად მხოლოდ შენიშვნის მიცემით შემოიფარგლა, და ჟურნალ-გაზეთებმაც ძველებურად გააგრძელეს აღმაშფოთებელი კარიკატურების ბეჭდვა, თანაც ნომრიდან ნომერში და წლების(!) მანძილზე, მაშინ? მაშინ რა ქნას პატიოსანმა კაცმა, როგორ მოიქცეს, ხელები ჩამოუშვას და შეეგუოს ბედს?! დაბეჩავებული ხალხი (სამწუხაროდ, ასეთ დღეშია ხალხების აბსოლუტური უმრავლესობა მთელ მსოფლიოში!) ასედაც იქცევა ან, რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ზოგჯერ, პირიქითაც კი, – ნაწილი ხალხისა პატივშელახულის ნაცვლად პატივშემლახავის მხარეს იჭერს!

ზემოთ მოყვანილი მაგალითი ერთი ან რამდენიმე ადამიანის პირად შეურაცხყოფას შეეხებოდა, მაგრამ, როცა მსგავსი შეურაცხყოფა მილიონობით, ასეულ მილიონობით ადამიანს შეეხება?! მხედველობაში მაქვს ეროვნული ნიშნით შეურაცხყოფა! უფრო მეტიც, რა ვუყოთ, როცა „შარლი ებდო“, სანიმუშო დემოკრატიისა და მანერების ევროპაში(!) ენით უთქმელ რამეს სჩადის – რაც ზემოთ მაგალითში მოვიყვანე, იმავე(!) ხასიათის ნახატებს აქვეყნებს ქრისტესა და მუჰამედზე, რითაც ნახევარზე მეტ მსოფლიოს, ოთხ მილიარდ(!) ადამიანს (2,4 მილიარდ ქრისტიანს და 1,6 მილიარდ მუსლიმანს) სულში გვაფურთხებს?! დამცირებულ-დაშინებულები კი ვართ ბევრნი, განსაკუთრებით, ქრისტიანებში, მაგრამ როგორ გინდა ნახევარი მსოფლიო დაარწმუნო იმაში (არადა, სწორედ ამას ცდილობს ევროპა), რომ მუჰამედის, ქრისტეს, მარიამ ღვთისმშობლის, წმინდა სამების გამასხარავებაში და უწმაწური სიტყვებით შემკობაში, მიუღებელი, თურმე, არაფერია, რომ მსგავსი კარიკატურებისადმი ლოიალური მიდგომა ცივილიზაციის და დემოკრატიის უმაღლეს მწვერვალზე დგომის მაჩვენებელია, და არა – აღვირახსნილობის! ევროპული სახელმწიფოების მიერ შეგნებულად გატარებული ამ ერთობ საშიშ პროვოკაციულ პოლიტიკას, რასაც უცნაური სახელი – „გამოხატვის თავისუფლება“ გამოუგონეს, სულ ადვილად შეუძლია ეროვნებათშორისი თუ რელიგიური შუღლის გაღვივება. ოთხი მილიარდიდან ერთმა ღრმად მორწმუნე კაცმაც მილიონიდან(!), ანუ ოთხმა ათასმა (რაც სავსებით დასაშვები რიცხვია) თავად რომ განიზრახოს, საკუთარი სიცოცხლის ფასად ზღვარგადასული „თავისუფლებისთვის“ ლაგამის ამოდება და, ყოველგვარ მორალურ და ეთიკურ საზღვრებს გადასული ჟურნალისტების დასჯა, მოულოდნელი იქნება? და მერე უნდა ატყდეს განგაში ტერორიზმზე? თუ, პირიქით, – პრევენციული ზომების მისაღებად უნდა ატყდეს განგაში დროზე. პრევენცია გაცილებით ადვილი და ეფექტური იქნება, ვიდრე ოთხ მილიარდ პოტენციურ ტერორისტთან გამკლავება (შუბლზე ხომ არავის აწერია, ამ ოთხი მილიარდიდან რომელი აიღებს თავზე ხელს!), ან ვინ დაიჯერებს, რომ სახელმწიფო აპარატს არ ძალუძდეს მოსალოდნელი მძიმე შედეგების წინასწარ განჭვრეტა?! ცხადია, არავინ!

და, თუკი ყველაფერი დღესავით ნათელია, მაშინ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ამგვარი, ზნედაცემული „გამოხატვის თავისუფლებისთვის“ მწვანე შუქის ანთება, ფაქტობრივად, პროვოკაციის წახალისება, და პრევენციული ზომების მიუღებლობა (ისეთის, როგორიც პუტინის რუსეთმა მიიღო კანონის სახით, როცა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის სასჯელი შემოიღო!)? მშვიდობასა და ძმობას?! თუ, პირიქით, მოსალოდნელ შურისძიებას და მტრობას? არა მგონია, ამაზე პასუხის გაცემა ჭირდეს!

დღეს, როცა მკვლელებსაც კი აღარ სჯიან სიკვდილით, უზრდელობისთვის ჟურნალისტების დახოცვა როგორ შეიძლება ვინმემ გაამართლოს, მაგრამ პარიზში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზებზე კანტი-კუნტად თუ საუბრობს ვინმე. უფრო მეტიც, რას არ მოისმენ ჩვენი ტელევიზიებით – ახლა რა დროს მიზეზებზეა საუბარიო. თუ მკვლელობა ვერ აიცილე თავიდან (არადა, შეგეძლო!) და მკვლელობის შემდეგაც არ ეძიე მიზეზი, არ ჩაწვდი ტრაგედიის არსს ღრმად, აბა, როდისღა არის მიზეზებზე ლაპარაკის დრო?! პირდაპირ გასაოცარია, როცა „შარლად“ ყოფნას იჩემებს ბევრი – საქმის არსში ჩაუხედავი და ბევრიც „შარლისნაირი“ ადამიანი. <u>**გულზე დაიწერო „მე ვარ შარლი“ და ამით თავი მოიწონო, ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ იწონებ ყველაფერ იმას, რაც წლების მანძილზე ამ ჟურნალმა ქრისტიანებსა და მუსლიმანებს დამცირება მოგვაყენა!**</u> და შენ კი, ახალგამომცხვარო „შარლი“, მთელი ამ ხნის მანძილზე შეყუჟული იყავი შენს ნაჭუჭში და ხმა არ ამოგიღია! ისე, დიდად გასაკვირი არცაა ზომბირებული ადამიანების რეაქცია – რა „კეთილსინდისიერ“ ინფორმაციასაც ჩასძახებ მათ 24-საათიან რეჟიმში ყველა ტელეარხის მეშვეობით, თანაც, მსოფლიოს(!) მასშტაბით, ზუსტად იმავეს ამოგვძახებს „ობიექტურად“ ეს გაბითურებული ხალხი! ეს პროპაგანდის ანაბანაა!

11 იანვარს, კვირა დღეს, პარიზში ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული, ფაქტობრივად კი, „შარლი ებდოს“, ანუ ე.წ. გამოხატვის თავისუფლების მხარდასაჭერი გრანდიოზული მარში გაიმართა, რომელშიც 30-ზე მეტი სახელმწიფოს პირველმა პირებმაც მიიღეს მონაწილეობა სოლიდარობის ნიშნად (მათ შორის, ჩვენმა პრემიერმაც).

ტერორისტების მიზანი რომ შურისძიება და ჟურნალისტების დაშინება იყო, ნათელია, მაგრამ რა იყო მარშის მიზანი? მარშის მიზანი არ ყოფილა ტერორიზმის შეჩერება – **ტერორიზმის ამოძირკვა რომ შეუძლებელია მისი წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრის გარეშე, ეს ყველას ესმის, ტერორიზმთან „მებრძოლი“ სახელმწიფოების გარდა!** მარშებით არც მოსალოდნელი ტრაგედიების აცილებაა შესაძლებელი, ესეც ადვილი მისახვედრია – კამიკაძე ტერორისტებს მარშები ვერ შეაჩერებს. შეურაცხყოფილ ადამიანებს ერთადერთი რამ – შეურაცხყოფის ნიაღვრისთვის ზღვარის დადება, ანუ რელიგიური გრძნობების შემლახავი ქმედების კანონით(!) აკრძალვა შეაჩერებს მხოლოდ! არც ეს არის ძნელი მისახვედრი და, ვინაიდან ამ კანონს არ იღებენ იმ მოტივით, რომ, ვითომდაც, „გამოხატვის თავისუფლება“, ანუ განუკითხავი(!) თავისუფლება იყოს ადამიანის ჭეშმარიტი თავისუფლების მაჩვენებელი (ასეთი ლოგიკით, რასისტული იდეების გამოთქმა და ე.წ. სიძულვილის ენით მეტყველებაც უნდა ითვლებოდეს ამ თავისუფლების მაჩვენებლად!), ამიტომ რჩება ერთადერთი ახსნა – მარშის მონაწილენი, ჟურნალისთვის გამოცხადებული სოლიდარობით, ფაქტობრივად, ახალ-ახალი პროვოკაციებისკენ უბიძგებენ გადარჩენილ ჟურნალისტებს და სხვებსაც, ამ ჟურნალის იდეოლოგიის მიმდევრებს. ეს იგივეა, სიტყვიერად რომ უთხრა მათ: ჟურნალისტებო და მხატვრებო, არ შეშინდეთ, უკან არ დაიხიოთ, კვლავ გაგრძელეთ აღებული გეზი, აგინეთ და რა პოზაშიც გნებავთ, ისე დახატეთ ქრისტიანების და მუსლიმანების წმინდანები (ოღონდ მხოლოდ მათი! სხვას, როგორც აქამდე არ ეხებოდით, არც მომავალში შეეხოთ!).

აკი ბრძანა კიდეც გერმანიის კანცლერმა, ქ-მა მერკელმა (იმავე კასნერმა): „ჩვენ ჩვენი ღირებულებებისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ“. როგორ გავიგოთ მისი ნათქვამი – ვინმე ემუქრება ევროპულ ღირებულებებს, თუ ღირებებულებისთვის ბრძოლაში ქრისტეს და მუჰამედის წინააღმდეგ ბრძოლა, ანუ მათი ლანძღვა-გინება იგულისხმა ქ-მა კანცლერმა? უფრო, ალბათ, ეს უკანასკნელი, თორემ აბა, ვინ, <u>**რომელი მუსლიმანი (ან მართმადიდებელი ქრისტიანი) რა თავში იხლის თანამედროვე ევროპაში ბოლო 40-50 წელიწადში დამკვიდრებულ ღირებულებებს.**</u> მუსლიმანების (ისევე, როგორც ქრისტიანების) სურვილი ერთია: როგორც გსურთ ისე იცხოვრეთ ევროპაში, ოღონდ ჩვენ რელიგიურ რწმენას და წმინდანებს ნუ გვიგინებთ, ნუ ცდილობთ ჩვენი მოთმინებიდან გამოყვანას! იცოდეთ, თავგაწირულებს არ გვანაღვლებს – შურისმაძიებლებს გვიწოდებთ თუ ტერორისტებს.

მიუხედავად უკანასკნელ 15 წელიწადში მსოფლიოში მომხდარი განუზომლად უფრო მასშტაბური ტრაგედიების და კაცობრიობის(!) წინააღმდეგ ჩადენილი მრავალი უმძიმესი დანაშაულისა, არავის არ ახსოვს მსგავსი მარში გამართულიყოს მათ გასაპროტესტებლად. განა შეიძლება, სამი თუ ოთხი ადამიანის მიერ ჩადენილი 17 ადამიანის მკვლელობა (10 ჟურნალისტის და მხატვრის, 3 პოლიციელის და 4 მძევლის) შევადაროთ ათობით, ასობით და ათასობით აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანის, ქალებისა და ბავშვების უმოწყალოდ ამოხოცვას თუ დაწვას, მასობრივ ჟლეტას?! თანაც ჩადენილს არა ერთეული დამნაშავეების მიერ, არამედ – სახელმწიფოების(!) მიერ?! მაგალითები? ყველაფერს რა ჩამოთვლის, ეს ფიზიკურად შეუძლებელია, მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდები: 2010 წელი – ბლოკირებული ღაზას სექტორისთვის ჰუმანიტარული(!) დახმარებით მიმავალი ექვსი გემიდან ერთ-ერთზე, ისრაელებმა მოკლეს 9 უდანაშაულო და უიარაღო(!) ადამიანი, 30 კი – დაჭრეს; 2014 – უკრაინა. ოდესაში, პროფკავშირების სახლში გამოკეტეს, სპეციალური ქიმიური ნარევით გააჩინეს ცეცხლი და ცოცხლად დაწვეს 150-მდე უკრაინელი უკრაინის ხელისუფლების მარჯვენა ხელის, მილიარდერ კოლომოისკის მითითებით (მხოლოდ 46 დამწვარ-დანახშირებული გვამი დატოვეს შენობაში, დანარჩენი გაიტანეს ქალაქგარეთ და იქ დამარხეს). როდესაც ხელისუფლება დანაშაულს არ იძიებს, ბრალი მას ედება და ამიტომ აქაც შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ მოკლა საკუთარი მოქალაქეები ასე მხეცურად; 2014 წ. – ისრაელმა ისევ დაადუღა ღაზას ვიწრო ზოლი (უკვე მერამდენედ!) – მოკლა 2 200 პალესტინელი, მათგან 75 %(!) მშვიდობიანი მოქალაქე და 520 ბავშვი! კიდევ უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება სერბეთ-ერაყ-ლიბია-სირია-ავღანეთის მაგალითზე, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია.

იხ. 6 გვ.

◎ ალიანჩალიანი

ჯარისკაცს სამშობლოში დაკრძალავენ

უკრაინაში გარდაცვლილ ქართველ მებრძოლს თამაზ სუხიაშვილს საქართველოში სავარაუდოდ 4 დღეში გადმოასვენებენ. გარდაცვლილის ბიძის ბონდო ტაბატაძის განცხადებით, გარდაცვლილი შემთხვევის ადგილიდან უკვე გადაასვენეს სამხედრო ბაზაზე და აუცილებელი პროცედურების დასრულების შემდეგ მოხდება მისი ცხედრის საქართველოში გადმოსვენება.

თამაზ სუხიაშვილის დედის ლალი სუხიაშვილის განცხადებით, თამაზმა სამი თვის წინ საკუთარი პატაკის საფუძველზე დატოვა შს სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი და უკრაინაში გაემგზავრა.

ბუნებრივია, ვცდილობდი, წინააღმდეგობა გამეწია ჩემი შვილისთვის, თუმცა, თამაზი ყოველთვის განსაკუთრებული პატრიოტული სულისკვეთებით გამოირჩეოდა და თქვა, რომ უკრაინაში იმყოფებოდნენ მისი მეგობრები, თანამებრძოლები და ამიტომ გამგზავრებას აუცილებლად თვლიდა, – განაცხადა ლალი სუხიაშვილმა.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას უკრაინაში მებრძოლი ქართველებისთვის მაღალი ანაზღაურების დაპირებასთან დაკავშირებით, თამაზ სუხიაშვილის დედა აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესებამება და არანაირ მაღალ ანაზღაურებას მის შვილს არ დაპირებიან და ისე დაწერა პატაკი.

ინტერპრესი

◎ სარეიტინგო შედეგები

როგორ გვაფასებენ, რა „ნიშნებს გვინერენ?“

ყოველი **წლის განმავლობაში მრავალი სოლიდური საერთაშორისო ორგანიზაცია, სხვადასხვა სახის რეიტინგლაისტებს აქვეყნებს, მათ შორის ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროშიც. ბუნებრივია, ასე იყო შარშანაც და ამ მხრივ საგულისხმოა წლის მანძილზე სხვადასხვა პარამეტრით შედგენილ რეიტინგებში საქართველოსთვის მიჩენილი ადგილები.**

შარშან **მსოფლიოს ეკონომიკურმა ფორუმმა ბიზნესის წარმოების** სიმარტივის კიდევ ერთი ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოს უწინდელი მე-14 ადგილის ნაცვლად მე-15 ადგილი აქვს მიჩენილი. „დოინგ ბიზნესის“ ყოველწლიური ანგარიშის შესაბამისად, მსოფლიო ბანკი ბიზნესის წარმოების სიადვილის რეიტინგს ათი სხვადასხვა ინტიკატორი მაჩვენებლის მიხედვით ადგენს, რომელიც ხელს უწყობს, ანდა, პირიქით, აფერხებს სამეწარმეო საქმიანობას. მათ შორისაა, კერძოდ, ბიზნესის დაწყების სიმარტივე, ინვესტიციების დაცულობის ხარისხი, გადასახადები, კრედიტის მიღება, ქონების რეგისტრაცია, მშენებლობის ნებართვის მიღება და ა. შ.

კიდევ ერთი რეიტინგის ავტორები ცნობილი **ფრეზერის ინსტიტუტის** ექსპერტები არიან, რომლებმაც **ეკონომიკური თავისუფლების** ანგარიშის შედეგები გამოაქვეყნეს. რეიტინგში გამოყვანილი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკების თავისუფლების დონეთა მიმოხილვას წარმოადგენს, რაც მრავალი სხვადასხვა მონაცემის დამუშავების შედეგია. აღნიშნული ინდექსი კონკრეტულ ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების ხუთ პარამეტრს ითვალისწინებს. ესენია მთავრობის სიდიდე, სამართლებრივი სფეროს მოქნილობა, სავაჭრო ურთიერთობათა თავისუფლება და რეგულაციების ხარისხი. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფრეზერის ინსტიტუტის შარშანდელი ანგარიში 2012 წლის მონაცემებზე დაყრდნობითაა შედგენილი, რაც, ბუნებრივია, რეალობას დროში რამდენადმე აცდენილია. ხოლო რაც შეეხება ამ ორგანიზაციის ბოლოსწინა რეიტინგს, მასში საქართველო 21-ე ადგილზე იყო, ხოლო შარშან ჩვენ მე-16 პოზიცია მიგვიჩინეს.

კორპორაცია „ჰერითეიჯ ფაუნდეშნის“ სპეციალისტების რეიტინგი ქვეყანაში **ეკონომიკური თავისუფლების** ინდექსს ადგენს. მის მიხედვით, კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკაში კანონის უზენაესობის დონე, სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის სიდიდე, რეგულაციების ეფექტიანობა და შიდა ბაზრის გახსნილობის ხარისხი ფასდება. მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის საქართველოს აღნიშნულ რეიტინგში პოზიციებზე „მოძრაობა“ ასეთი იყო: 2012 წელს — 34-ე ადგილი, 2013 წელს — 21-ე ადგილი, ხოლო 2014 წელს — 22-ე ადგილი. ამდენად, წინა წელთან შედარებით, ამ მხრივ ქვეყანამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

შარშან ასევე გამოქვეყნდა **მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის** ექსპერტების მიერ მომზადებული კიდევ ერთი ანგარიში, რომელიც **გლობალურ კონკურენტუნარიანობას ეხებოდა**. აღნიშნული საექსპერტო შეფასებები კონკრეტულ ქვეყანაში თორმეტ ძირითად ინდიკატორს და ასზე მეტ მათ ქვეკომპონენტს ეხება. მათ შორისაა მაკროეკონომიკური გარემო, ხარისხის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობა და ტექნოლოგიური განვითარების დონე.

2014 წლის ანგარიშის მიხედვით, რომელიც წლეულს, ასე ვთქვათ, „ძალაში იქნება“, რადგან შემდეგი ანგარიში მხოლოდ გაისად გამოქვეყნდება (**ცოტა ხნის წინათ ჩვენ ამის თაობაზე ვწერდით კიდეც — ო. ტ.**), მსოფლიოს 144 ქვეყანას შორის საქართველო 63-ე პოზიციაზეა გასული, რაც წინა ანგარიშთან შედარებით 3 ნაბიჯით წინწაწევაა.

ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია **კორუფციის აღქმის ინდექსი,** რომლის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ რეიტინგში (CPI), **100 შესაძლებლიდან საქართველოს 2014 წელს 52 ქულა აქვს მინიჭებული, რომლითაც 175 ქვეყანას შორის 50-ე ადგილზეა**.

უნდა ითქვას, რომ **CPI — კორუფციის დონის შეფასების** მსოფილოში ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი ინდექსია, რომელიც კონკრეტულ ქვეყნებში **საჯარო სექტორის კორმუპირებულობის ხარისხს აფასებს**. ანგარიშზე მუშაობის პროცესში, სპეციალისტები სხვა მაღალი რეპუტაციის მქონე ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ გამოკვლევებს იყენებენ, რომლებიც კორუფციის დონის შეფასების გარკვეულ ნიუანსებს ითვალისწინებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ შარშან, წინა წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია მსოფლიოში ავტორიტეტული საქმიანი წრეების ჟურნალ **„ფორბსის“ რეიტინგში „ბიზნესის საწარმოებლად საუკეთესო ქვეყნები“,** სამი პოზიციით გაუმჯობესდა და სადღეისოდ სამხრეთ კავკასიაში პირველ, ხოლო მსოფლიოს 146 ქვეყანას შორის 47-ე პოზიციაზეა. „ფორბსის“ რეიტინგი მსოფლიოში აღიარებული ფინანსური ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ მონაცემებსა და რეიტინგებს ეყრდნობა.

საქართველოს პოზიცია „ფორბსის“ რეიტინგში ძირითად კომპონენტში გაუმჯობესდა. ესენია, კერძოდ, **მონეტარული თავისუფლება** (102-ე ადგილიდან 52-ზე გადავინაცვლეთ); **საკუთრების ხელშეუხებლობა** (შესაბამისად, 110-ე ადგილიდან 105-ე ადგილზე); **ინოვაციების დანერგვა** (110-ე ადგილიდან 105 ადგილზე); **ბიუროკრატიის დონე** (მე-8 ადგილიდან გადავედით მე-5 ადგილზე); კორუფციის დონე (აქ 49-ე ადგილიდან 46-ზე გადავინაცვლეთ) და **პიროვნული თავისუფლებების უზრუნველყოფა** (ამ პოზიციაზე ახლა 67 ადგილზე ვიმყოფებით უწინდელი 69-ე ნაცვლად).

ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველო მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ათეულშია მოხვედრილი ვაჭრობის თავისუფლების პოზიციით, რომლის რეიტინგში მე-6 ადგილი გვაქვს მიჩნეული.

ფორბსის რეიტინგის ლიდერია დანია, ხოლო „ჩამკეტი“ — გვინეა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ სარედაქციო ფოსტიდან

ჯარიმა უნდა დაწესდეს ეთერის დაბინძურებისთვისაც

დროული **კი არა, იქნებ ცოტა დაგვიანებულიც კია სხვადასხვაგვარი ჯარიმების შემოღება გარემოს დაბინძურებისა თუ დანაგვიანებისთვის. ამ მხრივ თბილისი და საერთოდ ჩვენი ქალაქები და სოფლები, პოლიტიკურად ისედაც დაბინძურებული, ნამდვილად სანაგვედ არის ქცეული. ამ ჯარიმების დაწესებამ, რომ იტყვიან, სულზე მოგვისწრო. მაგრამ ბევრ სქელყურიანისთვის, ალბათ, კიდევ უფრო მეტი გამკაცრებაა საჭირო.**

დიდად საკვირველია, რომ ზოგიერთი ჩვენი სატელევიზიო არხი ამ დროული და კარგი ღონისძიების მხარდაჭერის მაგივრად, პირიქით, როგორც იტყვიან, ხიშტით შეხვდა გარემოს დაბინძურებისთვის ჯარიმების დაწესებას, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ტელეარხი „კავკასია“, რომლის მფლობელი და „მთავარი გმირი“ აქუბარდია ამ უთუოდ კარგი და საჭირო ღონისძიების ანტიპროპაგანდას ეწევა. კვირას, მაგალითად, ცნობილ, უკვე „ტელევარსკვლავად ქცეულ“ ლევან ლორთქიფანიძესთან ერთად, რომელსაც, როგორც ეტყობა, მაინცდამაინც მეტი საქმე არა აქვს, მთელი გადაცემა მიუძღვნა ამ ჯარიმების „უაზრობასა და ანტიხალხურობას“.



არადა, ჩემი აზრით, როგორც ეს „კავკასია“, ისე ჩერგოლეიშვილის „ტაბულა“, რა თქმა უნდა, სხვაგვარი მოაზროვნე ტვინების სამრეცხაო სააკაშვილის „რუსთავი-2“-თან ერთად, არანაკლებ აბინძურებენ და ამწვირიანებენ ეთერს თავიანთი ყოველდღიური მომაბეზრებელი და ხშირ შემთხვევაში გულისგასაწვრილებელი აგიტაცია-პროპაგანდით, რაც ისევე იმსახურებს სანაგვე ბუნკერს, როგორც ყოველგვარი სახის სხვა ნაგავი.

სიტყვის თავისუფლება, ბატონებო, უწინარესად, საზოგადოების წინაშე დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავს და არა ენაზე მომდგარი სუყოველი სიტყვის აქუბარდიასეულ ღეჭვასა თუ ცოხნას.

ძალიან მისასალმებელი იქნება, თუ ჩვენი პარლამენტი იმ კანონის შემოღებაზეც იფიქრებს, რომელიც ცოტას მაინც გაწმენდს ჩვენს იდეოლოგიურად აშკარად დაბინძურებულ ეთერს, რომლის ატანაც თანდათან აუტანელი ხდება.

გივი პაპავა,
ქ. რუსთავი

◎ მასმედია

ძერის მკვლელი თოფის მსხვერპლი მგელი,

ანუ „ვინ შეჭამა ვენახი“ ქართულ პრესაში

როგორც **იქნა, ფრაზა — „ჩაიაროს ამ ახალმა წლებმა და მერე ვნახოთ“ — დაახლოებით 350 დღე აღარ იქნება აქტუალური და ქართული პრესა ჩვეულ რიტმში აფუთფუთდა.**

დავიწყოთ ტელეეთერებში გასული სიუჟეტებით და ვცადოთ გარკვევა, თუ რატომ წამოიწია ესა თუ ის თემა წინა პლანზე და რატომ მიიჩქმალა სხვა, არანაკლებ სენსიტიური საკითხი.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც „საოცარი“ იყო ტელეკომპანია იმედის საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“, რომელიც თითქმის მთელი კვირის განმავლობაში პირველ სიუჟეტად პარიზში დატრიალებულ ტრაგედიას სხვადასხვა ჭრილში განიხილავდა და ხუთიოდე წუთით მოწვეული სტუმრებისგან ცდილობდა რაღაც პასუხის მიღებას. სტუმრებთან ერთად ბევრი ვეცადე, მეც გამეცა პასუხი თეა სიჭინავასთვის, მაგრამ ვერ მოვახერხე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვერ მივხვდი, თუ რისი გაგება სურდა წამყვანს. სულო ცოდვილო, და ვერც იმას მივხვდი, თუ რატომ მიდიან პატივცემული და სავარაუდოდ ფრიად დაკავებული სტუმრები ამ გადაცემაში ხუთიოდე წუთით დასაჯდომად, რადგანაც იმ ორიოდ შეკითხვაზე, რასაც „ქრონიკის“ პირდაპირ ეთერში მათ წამყვანი უსვამს, პასუხის გაცემა ვიდეოჩართვით, ან ჩანაწერითაც შეიძლება.

„ტერორი“, ანუ „რუსთავი-2“ კვლავ თავის სტილში აგრძელებს ტერორს და თვით „კომედი შოუს“ საახალწლო კონცერტსაც კი „შარლი ებდოს“ სტილში გაკეთებულ შოუდ აქცევს. არადა, ჟურნალის ერთ-ერთი გადარჩენილი კარიკატურისტი დასცინის მხარდაჭერის იმ ტალღას, რაც რედაქციაზე თავდასხმის და თავისი კოლეგების მკვლელობის შემდეგ დაიწყო. **ბერნარდ ჰოლტროპი, რომელიც პარასკევს, თავდასხმის დროს ოფისში არ იყო, აცხადებს, რომ მხარდაჭერა არის სასაცილო და მას გამოხატავენ ის ადამიანები, რომლებსაც „შარლი ებდოს“ არც ერთი ნომერი არასდროს არ უნახავთ.**

ეს წარმოშობით ჰოლანდიელი ხელოვანი აცხადებს, რომ ამ კვირის შემდეგ „მოულოდნელად გამოჩნდნენ ახალი მეგობრები, მათ შორის რომის პაპი, დედოფალი ელისაბედი და ვლადიმერ პუტინი.“

„ჩვენ გული გვერევა ყველა იმ ადამიანზე, რომლებიც მოულოდნელად ჩვენი მეგობრები გახდნენ. მხარს გვიჭერენ ადამიანები, რომლებსაც ერთხელაც არ უნახავთ შარლი ებდოს ნომერი. ეს მართლაც სასაცილოა. რამდენიმე წლის წინ ათასობით ადამიანი გამოვიდა პაკისტანის ქუჩებში, რომ პროტესტი შარლი ებდოს წინააღმდეგ გამოეხატა. მათ არ იცოდნენ, ეს რა იყო. ახლა კი პირიქითაა,“ — განაცხადა ჰოლტროპმა.

ჩემი აზრით აქ კომენტარი სრულიად ზედმეტია.

ასევე ძალიან „საინტერესო“ იყო „რუსთავი-2“-ს მიერ მომზადებული (აქ თამამად შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვა „გაკეთებული“) სიუჟეტი ამერიკულ-ქართული მაღალტექნოლოგიური უნივერსიტეტის შესახებ. ბუნებრივია, რომ ძებნილმა მიხეილ სააკაშვილმა ისე დაგვიხატა ქართული განათლების მომავალი, რომ მაყურებელთა უმრავლესობა ტელეეკრანებთან აქვითინდა. არადა, სინამდვილეში 2013 წელს, მთავრობასა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას შორის მოლაპარაკებები აღდგა და ახალი ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს სამ სახელმწიფო უნივერსიტეტში : ილიას, ივანე ჯავახიშვილისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში ტექნიკურ დარგებში ამერიკული სანდიეგოს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამები ინერგება. პარალელურად კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ახალი პროგრამის ფარგლებში მოსამზადებლად, პროფესორ-მასწავლებელთა ორმა ჯგუფმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გადამზადება უკვე გაიარა.

ეს, ერთის შეხედვით, პატარა მაგალითი, ნათლად გვაჩვენებს იმ იდეოლოგიური მანქანის მიზანმიმართულად განხორციელებულ დეზინფორმაციულ მუშაობას, რასაც ოდესღაც „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ ერქვა.

ახლა ბეჭდურ მედიას გადავხედოთ.

როდესაც ქართული პრესის „მარგალიტებს“ ვეცნობი, განსაკუთრებით ე.წ. „ფლაგმან“ გაზეთებში, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სტატიების უმრავლესობა ცნობილი ქართული ხალხური ლექსის „თხა და ვენახის“ მაკეტზეა აგებული.

„ვინ შეჭამა ვენახი?“ „ვინ შეჭამა თაგვი?“, „როგორც ჩვენი სანდო წყარო შსს-დან იტყობინება, რომ იმ თოფით, რომლითაც მგელი მოკლეს, ადრე ძერა იყო მოკლული!“ დ.ა.შ.

იხ. 6 გვ.

აუცილებელი განმარტება

სტატია, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, მანამდე დაიწერა, სანამ ევროპარლამენტი საქართველოსთან ჩვენთვის ისტორიული მნიშვნელობის მქონე ასოციირების ხელშეკრულების რატიფიცირებას მოახდენდა. ჩვენ ამ სხდომას პირდაპირ ეთერში ვადევნებდით თვალს, 490 მომხრე, 76 წინააღმდეგი, 57-მა თავი შეიკავა, გადაწყვეტილება მიღებულია.

მაშინვე რედაქციაში გავიქეცი, დასაბეჭდად გამზადებულ მასალას გადავხედე და შევეცადე, რომ ამ ისტორიული გადაწყვეტილების ფონზე აუცილებელი დეტალები ჩამემატებინა, მაგრამ, მალევე მივხვდი რომ, ჩემი ქვეყნისთვის ამ ეპოქალურ მოვლენას დეტალები ვერ უშველიდა. მხოლოდ დეტალებით ვერ მოვახერხებდი იმ ემოციების სიმძაფრის გადმოცემას, რასაც მე და ჩემი ხალხი იმ დღეს განვიცდიდით.

30 წელზე მეტია, იმ ფოლკლორული ანსამბლის წევრი ვარ, რომელსაც „ქართული ხმები“ ჰქვია და რომელიც მრავალჯერ ყოფილა საგასტროლოდ ევროკავშირის ქვეყნებში. სხვათა შორის ევროპარლამენტშიც აქვს ნამღერი. მახსენდება, საზღვრის გადაკვეთის დროს მუდამ ერთგვარი გულდაწყვეტით შევცქეროდით გასასვლელს, სადაც არასოდეს რიგი არ იდგა და სადაც თითქოს ამაყი ასოებით ეწერა – „მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებისათვის“.

ვიდექით რიგში და ვფიქრობდით, ნუთუ ოდესმე ჩვენც იმ გასასვლელში გავივლით? დღეს იმ გასასვლელისკენ გადაიდგა დიდი ნაბიჯი. ყველას, ვინც ამ ნაბიჯისთვის იღვაწა, კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი. მადლობას ვუხდი იმ 490 ევროპარლამენტარს, რომლებმაც ამ ნაბიჯს დაუჭირეს მხარი.

დანარჩენებს კი, რომლებსაც ეს ან არ მოსწონთ, ან ჯერაც გაურკვევლობის სკამებზე სხედან, ქვემოთ შემოთავაზებული სტატიის წასაკითხად ვეპატიჟები.

სხვათა შორის, მათიც მესმის. ყველა წესიერი ადამიანი ხომ სხვისი ნათქვამის ადვილად დაჯერებისკენაა მიდრეკილი, წესიერების ბუნებაა ასეთი და მეც იგივე მჭირდა, სანამ ნაციონალებს გადავეყრებოდი. ამიტომ ხდება რომ, რასაც ნაციონალური პარტიის ლიდერები საქართველოს დღევანდელობაზე ყურში ჩაგჩურჩულებენ, თქვენც ადვილად იჯერებთ. ამიტომ გაჩნდა რეზოლუციაში ის ნეგატიურ ტონში დაწერილი მუხლები, სადაც დღევანდელ ხელისუფლებას ნაციონალური დამნაშავეების პოლიტიკური ნიშნით დევნა ბრალდება. არაა ასე ბატონებო, არაფერი ამის მსგავსი საქართველოში არ ხდება.

რა თქმა უნდა ადამიანების ნათქვამის უნდა გვჯეროდეს, მაგრამ, მეც ხომ ადამიანი ვარ და მეც ხომ უნდა დამიჯეროთ, რომ ნაციონალების ნათქვამი არც ერთი სიტყვის ნდობა არ შეიძლება. თუ რატომ, აი, ამის გასაგებად დაიწერა ეს სტატია.

დიდი ჩინელი ფილოსოფოსის ჩინებული ნათქვამით დავიწყებ: **„როცა სიახლის ქარი უბერავს, ზოგი კედელს აშენებს, ზოგი ქარის წისქვილს“**. ძალიან დიდი ხნის წინ თქვა ეს კონფუციმ, მაგრამ, ჩვენს დღევანდელობასაც ზუსტად ესადაგება. სიახლის ქარი კი მართლაც მძლავრად უბერავს და ისიც ნათლად ჩანს, ვინ კედელს აშენებს და ვინ წისქვილს. საკმარისია, ფარდა გადასწიო და ყველაფერს დაინახავ, მაგრამ, ჩვენ სწორედ ეს გვიჭირს – ფარდის გადაწევა და გარეთ გახედვა. ისტორიულად გვიჭირს. ლოდინიც გვიჭირს და მოთმინებაც. ბუნებით მაქსიმალისტები ვართ, ყველაფერი უცებ და ერთბაშად გვინდა. არადა, გულის სიღრმეში ხომ ყველას გვესმის, 9 წლის ნაგროვებ ნაგავს სიახლის ქარი ასე სწრაფად რომ ვერ გადარეკავს. ქარი კი არა ქარიშხალიც ვერ მოახერხებს ამას. ასეთი სასწაულები ძველბერძნულ თქმულებებში ხდება და არა ათასი პრობლემებით დამძიმებულ რეალურ ცხოვრებაში.

ძველბერძნული თქმულებები ვახსენე და ჩემი ერთი მეგობარი გამახსენდა, ასეთი თქმულებების შესანიშნავი მცოდნეა. საინტერესო ადამიანია, საკუთარ თავს დრო მოპარა და ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ადამიანობის ხელოვნებას ასწავლის ბავშვებს უანგაროდ. სახლში ვესტუმრე, მაგიდაზე იმ ბავშვების ნაწერები ედო –. „საქართველო ჩემი სამშობლოა“, ბავშვური გულმოდგინებით გამოყვანილი ასოებით ეწერა გადაშლილ რვეულებში. გამეღიმა და ჩემიც – მეთქი, ჩავილაპარაკე. მერე ეს ცრემლებამდე მშობლიური ფრაზა ჩამეხუტა და დიდხანს აღარც მომცილებია. ახლაც ჩემთანაა და რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ყველაფერს ის მაწერინებს, ის, რომ საქართველო ჩემი სამშობლოა.

სკოლა და სწავლა ვახსენე და ბარემ ერთ იქაურ და ყველასთვის ნაცნობ ფრთიან ნათქვამსაც გაგახსენებთ, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო....

ჩემდროინდელ სკოლაში ამას გვასწავლიდნენ, ახლა რა ხდება, არ ვიცი და ამიტომ, ბარემ ამ ნათქვამის წარმოშობის ისტორიასაც მოგიყვებით.

მამალი მოპარა მეზობელმა მეზობელს. მამლის პატრონმა დროზე შეამჩნია, წამოეწია და შეეკითხა, მისმინე, ჩემი მამალი შენ ხომ არ მოგიპარავსო, აბა, რას ამბობ, მაგას როგორ ვიკადრებდიო, თუ გინდა, დავიფიცებო და ურცხვად დაიფიცა კიდევაც. არადა, მამალი ხალათის კალთის ქვეშ ჰყავდა დამალული, მაგრამ მამლის კუდი ანუ ბოლო გარეთ იყო გამოჩრილი. დაინახა ეს მამლის პატრონმა და თქვა, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

რამ გაგვახსენა მამალი და მისი ბოლო?!

რამ და იმან, ჩემო ძვირფასებო, რომ, ჩვენ, ქართველები, იმ მამლის არა, მაგრამ მამლის მორიდებული პატრონის როლში ნამდვილად აღმოვჩნდით. ჩვენი მეგობარი ქვეყნებიდან თითქმის ყველა პოლიტიკური ლიდერი ლამის, უნისონში გვეფიცება, რომ, ისინი არა რომელიმე კონკრეტულ ხელისუფლებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართველ ხალხს და ქართველი ხალხის ნებას უჭერენ მხარს. სამართლიანი განმარტებაა. მთავარი ხომ მართლაც ხალხის ნებაა და არა ხელისუფლების, თუკი დემოკრატია მართლაც უმაღლესი პრინციპია, მაშინ ამ ფორმულაში უჩვეულოც არაფერია. პირდაპირი გაგებით დემოკრატიაც ხომ ამას ნიშნავს, ხალხის მმართველობას, ანუ ხალხის ნებას.

მოკლედ, მსგავსი განცხადების მოსმენის შემდეგ ხალხსაც მადლობის მეტი რა უნდა ეთქმოდეს, მაგრამ ...

აი, სწორედ ეს სიტყვა, – „მაგრამ“, მსუყე კითხვის ნიშნებში ამოგანგლული, რაგბის ბურთივით გაუგებრად დახტუნავს ხალხის წინ და ყველას ხელიდან უსხლტება.

სწორედ ამიტომ მოვიხმეთ, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო... ჩვენც გვწამს თქვენი ფიცი, ბატონებო, გვწამს, რომ ქართველი ხალხის ნება მართლაც მთავარია თქვენთვის, მაგრამ ბოლო რომ გვაკვირვებს?! რომელი ბოლოო, იკითხავთ ალბათ. ბატონი სააკაშვილი და მისი ბოროტმოქმედთა გუნდია ის ბოლო, ბატონებო. იმ მამლის ქურდივით ცდილობთ, ყველას მფარველობის კალთა გადააფაროთ, მაგრამ, მაგ ხალხს იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ ბოლო ყოველთვის გამოუჩნდებათ.

თითქოს გასაგებია, რომ ჩვენზე ზრუნვის გამო აკეთებთ ამას, რომ ყოფილი პრეზიდენტის გასამართლება თითქოს დაპირისპირების ახალ ტალღას ააგორებს საზოგადოებაში, გასაგებია, რომ, როგორც ჭეშმარიტ მეგობრებს, სურვილი გაქვთ, ეს მორიგი დაპირისპირება თავიდან აგვაცილოთ და კიდევ ბევრი რამ არის გასაგები, თუნდაც ის, რასაც ხმამაღლა არასოდეს იტყვით, მაგრამ, საინტერესო ისაა, ვინმემ იმაზეც თუ იფიქრა, რომელი უფრო დიდ დაპირისპირებას გამოიწვევს საზოგადოებაში, სააკაშვილის რეჟიმის გასამართლება თუ არ გასამართლება.

ძველ ლათინთა ნათქვამი მაინც გაიხსენეთ, **დაე დაინგრეს მსოფლიო, ოღონდ აღსრულდეს სამართალი!**

ჰოდა, მეც სამართლის სახელით ვკითხულობ, ვინმე დაინტერესდით რამდენი ათასი ადამიანი ჰყავთ გამწარებული, ქონებაწართმეული, სახლ-კარ დანგრეული, შეურაცხყოფილი, ნამუსახდილი, ღირსებააყრილი, ქალიან-კაციანად გაუპატიურებული, სულიერად დამახინჯებული, დახეიბრებული, ფსიქოლოგიურად განადგურებული სააკაშვილსა და მის ჯალათებს?! მათგან გამწარებულ ხალხს ხომ ძებნაც არ სჭირდება, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გადაეყრებით, თუ იკადრებთ და ჩამობრძანდებით.

შეხვდით იმ ადამიანებს?! თუნდაც რამდენიმეს?! თუნდაც ერთს?! გაესაუბრეთ და გულისყურით მოუსმინეთ?! მათი გულისტკივილი გაიზიარეთ?! მათ დამშვიდებას შეეცადეთ?! დახოცილი ახალგაზრდების საფლავებს მიაკითხეთ?! მათ მშობლებსაც შეხვდით?! იმ ბავშვს ჩახედეთ თვალებში, მამა რომ თვალწინ მოუკლეს?! ჯერ ეს უნდა გააკეთოთ, მერე დაბრუნდეთ სამშობლოში და მერე მიანიჭოთ სააკაშვილს რაინდის წოდება, ოღონდაც ბოროტი რაინდის. ჭეშმარიტად იმსახურებს.

სააკაშვილს ნუ შეეხებით, ნურც სხვებს, თორემ ყველაფერი ოპონენტების პოლიტიკურ დევნას დაემსგავსება და ევროპასთან შემდგომი დაახლოების გზაზე შესაძლებელია პრობლემები შეგექმნათო, ხელისუფლებას რომ აფრთხილებთ, ამ დროს ხომ თქვენს მთავარ პოლიტიკურ განცხადებას ივიწყებთ, ხალხის ნებაა ჩვენთვის მთავარიო. ხალხი ხომ ზუსტად იმას მოითხოვს, რასაც თქვენ თქვენი რეზოლუციებით ასე გულმოდგინედ ბლოკავთ.

მოკლედ, საიდანაც არ მოვუარეთ, არაფერი გამოგვდის, ყველა გზა რომისკენ კი არა, ამ ფრაზისკენ მიდის, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

საბედნიეროდ, ბებერ ევროპაში ბევრი არ ფიქრობს ასე, ბევრი მართლაც ქართველი ხალხის ნებას უჭერს მხარს და ასე რომ არ იყოს, არც იმ ასოციირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოხდებოდა, ანუ წარმოუდგენელი იმედგაცრუება გველოდა წინ.

ამასობაში დრო ულმობლად გარბის და ხელჩაქნეულმა ხალხმა თანდათან ... „ქართულ ოცნებაზე“ აიყარა გული. იმ პოლიტიკურ ძალაზე, რომელმაც შეძლო და ქვეყანა სააკაშვილის მარწუხებისგან გაათავისუფლა. იმიტომ აიყარა, რომ, ერთ-ერთი მთავარი დაპირება, სავარაუდო დამნაშავეების სასამართლოში მიყვანა და სამართლიანობის აღსრულება, აქამდე ვერ მოვახერხეთ. რაც უკვე გაკეთდა, თვლიან რომ, ძალიან ცოტაა. ქვეყანაში ისევ ნაციონალები პარპაშებენ და მათი ლიდერი კი მწუხარე სახის რაინდის პოზით ევროპაში თავისუფლად დააბიჯებს. საზოგადოების უდიდესი უმრავლესობისთვის ესაა დღეს ყველაზე მტკივნეული და გამაღიზიანებელი, და არა სოციალური პრობლემები. ისინი სამართლიანად თვლიან, რომ, მათი დაცინვა და დამცირებაა, როცა იმ ადამიანს, რომელიც ცხრა წელიწადი ათასობით თანამემამულის ღირსებას ფეხქვეშ თელავდა, ამგვარი პატივისცემით ექცევიან ევროპაში.

ქართველებს ასეთი გამოთქმაც აქვთ, მადლი ჰქენი, ზედ მარილი მოაყარეო. ევროპარლამენტში ევროპასთან ასოციირების ხელშეკრულების რატიფიცირება ნამდვილად მადლია ჩვენთვის, მაგრამ რატიფიცირებაზე დევნილი სააკაშვილის საპატიო სტუმრად მიწვევა მარილის კი არა, შავი პილპილის მოყრაა და თან ისეთი რაოდენობით, რომ, საქართველოში ხალხი თან ტაშს უკრავდა და თან ხველებით იხრჩობოდა.

აი, ეს მოახერხა ბატონმა იაცეკ სარიუშ – ვოლსკიმ. მინდა, მორიდებით შევახსენო ბატონ ვოლსკის, რომ როცა საკუთარი ხალხის მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში ეჭვმიტანილ, ბიუჯეტის ძარცვაში ეჭვმიტანილ, რამდენიმე მუხლით სისხლის სამართლის გახმაურებულ დანაშაულში ეჭვმიტანილ, თავად ევროსასამართლოს მიერ ეჭვმიტანილ და თან ძებნაში მყოფ ადამიანთან მეგობრობას ასე ღიად რომ აფიქსირებთ, კბილებით იცავთ და ევროპარლამენტსაც ურჩევთ პატივით მიიღონ, მხოლოდ მთელ ქართველ ხალხს კი არა, თავად უაღრესად ღირსეულ თავყრილობას, ანუ ევროპარლამენტსაც შეურაცხყოფას აყენებთ.

მოვა დრო და ამ აზრს სხვებიც გაიზიარებენ. თქვენ კოლეგებს ვგულისხმობ. **ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით ევროპარლამენტში გაჟღერებულ მთავარ მესიჯს, საქართველოს პოზიტიური ცვლილებები სჭირდებაო, მაგრამ, პოზიტიური ცვლილებები ხალხის გაღიზიანებით უნდა დავიწყოთ თუ მხარდაჭერით?!**

აქვე კიდევ ერთხელ მსურს, ხაზგასმით გავიმეორო, ევროპაშიც და უფრო შორსაც მრავლად არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც გულწრფელად სჯერათ ჩვენი, აბსოლუტურად საღად აღიქვამენ ჩემი ქვეყნის დღევანდელობას, სათანადო დასკვნებსაც აკეთებენ, ქართველი ხალხის სურვილებსაც პატივისცემით ექცევიან და ცდილობენ, დემოკრატიის საბოლოოდ განმტკიცებაში შეგვიწყონ ხელი. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ არც ასოციირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოხდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ისეთი პოლიტიკოსების რიცხვიც საკმაოდ ბევრია, რომელთა ძვირად ღირებული პიჯაკების კალთებიდან მამლის კუდები რომ მოსჩანს. დღემდე ეჭვის თვალით გვიცქერენ და გზავნილს გზავნილზე გვიგზავნიან, თავი დაანებეთ სააკაშვილს, ნუ ფიქრობთ წარსულზე, დაივიწყეთ რაც მოხდა და იფიქრეთ მხოლოდ მომავალზე. თუ ასე მოიქცევით, ჩვენს მხარდაჭერასაც მოიპოვებთო.

კიდევ ერთხელ ბოდიშს მოგიხდით ბატონებო, მაგრამ, ამ ლოზუნგების მსგავსი რჩევების ნაცვლად, იქნებ ვინმემ გასაგებად აგვიხსნას ეს ორი, ნებისმიერი საზოგადოებისთვის სისხლხორცეული ცნება ერთმანეთს რატომ უშლის ხელს?! რატომაა საჭირო მომავალზე ფიქრის დროს წარსულის დავიწყება?! იქნებ სულაც პირიქითაა, წარსულის გაზიარება, ცუდის გაანალიზება და უკუგდება, კარგის გამოყენება და გააქტიურება, დამნაშავეების სასამართლოს გზაზე დაყენება, განა მომავალი წარმატებების საწინდარი არაა?! მე მგონი, ასეა და არა პირიქით. წარსულის დავიწყება მომავალსაც გავიწყებს. სრული ამნეზიისთვის ხარ განწირული.

ბატონებო, მე თქვენთან იმიტომ მინდა, რომ მომწონხართ, საზოგადოება მომწონს თქვენი, ამ საზოგადოების ფასეულობები მხიბლავს, თქვენი დემოკრატიული ინსტიტუტები მიხმობს, თქვენი ოჯახის სიძლიერე, თქვენი წესიერება და სამართალი, თავისუფლების ხარისხი, ადამიანის უფლებების პატივისცემა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და ღმერთმა იცის, კიდევ რამდენი რამ მხიბლავს თქვენი და მაგნიტივით მიზიდავს, მაგრამ, მთავარი, რაზედაც ყველა ჩამოთვლილი სიკეთე არის აღმოცენებული, განა სახელგანთქმული ევროპული მართლმსაჯულება არაა?!

თქვენი ძლიერი მართლმსაჯულებაც მხიბლავს, კიდევ უფრო მიძლიერებს თქვენთან დაახლოვების სურვილს და ამიტომ ვეღარ ვგებულობ, იმ მთავარს, რის გამოც შენსკენ მოვდივარ, მე თავად რატომ მიკრძალავ?! რატომ მსაყვედურობ?! რატომ არ გსურს, ქართველი ხალხის მოთხოვნას დაუგდო ყური?!

ყველა იმ სიკეთესთან, რაც ჩამოვთვალეთ, ოდესღაც ისედაც მივიდოდით, ყოველგვარი ხელის წაშველების გარეშე, მაგრამ, თქვენი მხარდაჭერა და თანადგომა ამ პროცესს ხომ ძალიან დააჩქარებს.

და, თუ ვფიქრობთ, რომ დახმარება და თანადგომაა რეზოლუციის ის მუხლები, დამოკლეს მახვილივით რომ ჩამოუკიდეთ საქართველოს ხელისუფლების სურვილს კი არა ვალდებულებას, აღასრულოს სამართალი, მაპატიეთ, მაგრამ ამაში ვერ დაგეთანხმებით.

თემურ ჭკუასელი,
საქართველოს პარლამენტის წევრი, მწერალი, მომღერალი

(გაგრძელება იქნება)

◎ მასმედია

ქერის მკვლელი თოფის მსხვერპლი მგელი

(მეოთხე გვერდიდან)

რატომ ჩაშალეს „ოცნების“ დეპუტატებმა იურიდიული კომიტეტის სხდომა?

ვინ „სხედან წამალზე“ დღევანდელ ხელისუფლებაში და როდის გეგმავს პრემიერი ღარიბაშვილი ხელისუფლების ნარკოშემოწმებას?! საბედისწერო დაპირისპირება და საქმის გარჩევა „ნაცმოძრაობაში“... რა კომპრომატები დაუდეს ერთმანეთს „ნაციონალმა“ ბოსებმა?

არადა, ისეთ სენსიტიურ საკითხზე, როგორიც იურიდიული კომიტეტის სხდომის ჩაშლაა, პასუხი ძალიან მარტივი აღმოჩნდა — **იურიდიული კომიტეტის სხდომაზე კვორუმი არ შედგა და ამის მიზეზი იყო ის, რომ „ქართულ ოცნებას“ ჰ ქონდა პარტიული ღონისძიება, პარტიის ნაწილი ამის გამო ვერ დაესწრო, ნაწილიც კი იმიტომ, რომ ქუთაისში იყო, სადაც საახალწლო ზეიმი ჰქონდათ მზრუნველობამოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის. ამის გამო, ვერც უფლებამონაცვლის გამოგზავნა მოახერხეს და თვითონ, თავისთავად ვერ დაესწრნენ. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, მოგეხსენებათ, რომ თბილისში გამართულ კომიტეტის სხდომებს არ ესწრებიან, შესაბამისად, კვორუმი არ იყო.**

არადა, კომიტეტის სხდომაზე ტრანსპორტში უბილეთოდ მგზავრობისთვის არსებული ჯარიმების ნაწილის გაუქმებაზე უნდა ემსჯელათ. ძალიან საინტერესოა, შედგებოდა თუ არა კვორუმი, კომიტეტის სხდომა პარლამენტის წევრებისთვის ხელფასების მომატებას, ან სხვა პრივილეგიების გაზრდას რომ მიძღვნოდა?

და კიდევ ერთი საკითხი: **„წამალზე არ სხედან, წამალზე ზიან!“ (თუ ჟარგონია, ჟარგონი იყოს, თორემ რა გამოდის, რადგან მთავრობის წევრია „სხედს“, ხოლო რიგითი ნარკომანი „ზის“? უფლებადამცველებმა რომ გაიგონ, ერთ ამბავს ატეხენ რიგითი ნარკომანების დისკრიმინაციის გამო!).**

ძალიან საინტერესო იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ბატონი **ელიზბარ ჯაველიძის** წერილი პარლამენტის წევრის, პროფესორ გუგული მაღრაძის შესახებ. ამ წერილის განხილვას ვერ დავიწყებ, რადგან, ჯერ ერთი, საკმაოდ მოცულობითი მასალაა და, მეორეც, ბატონი ელიზბარ ჯაველიძის ნაწერს ჩემი განხილვა არ სჭირდება, უბრალოდ ვიტყვი, რომ საქართველო ნამდვილი ევროპული ქვეყანა რომ იყოს, ქალბატონ გუგულის გაზეთის გამოსვლისთანავე, ალბათ, დეპუტატის მანდატი უნდა დაეტოვებინა და აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასაც სამუდამოდ ჩამოშორებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ბეჭდურ მედიას ჯერ ისეთი ძალა არა აქვს, როგორც ევროპაში.

გასულ კვირას ძალიან აქტუალური იყო ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის ალექსანდრე ვერშბოუს განცხადება, რაც მან ნატოს შტაბ-ბინაში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის შემდეგ სოციალურ ქსელში გააკეთა: **„ყველა ინსტრუმენტი მზად არის იმისთვის, რომ საქართველოს მისწრაფებას ჰქონდეს წინსვლა. ნატოსა და საქართველოს მყარი პარტნიორობა აქვთ ავღანეთში მაღალი თავსებადობის ძალების მისიის წყალობით“.**

— თქვენი აზრით, ეს განცხადება ნიშნავს თუ არა, რომ საქართველო მზად არის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისთვის შემდეგი ნაბიჯები გადადგას? — ამ შეკითხვით გაზეთმა „რეზონანსმა“ საზოგადოების წარმომადგენლებს მიმართა.

ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ რამდენად შეიძლება ჩავთვალოთ საზოგადოების წარმომადგენლებად „პოლიტოლოგი“ მიშა თავხელიძე, ან „ენჯოშნიცა“ ნინო ლაპიაშვილი, მაგრამ თაკო ჩარკვიანისა და ლაშა ჩხარტიშვილის მოსაზრებებთან ერთად, მათ მოსაზრებებსაც შემოგთავაზებთ.

ნინო ლაპიაშვილი (ა/ო „სუფთა პოლიტიკა“): ეს განცხადება ნამდვილად შეგვიძლია, განვიხილოთ, როგორც ისტორიული შანსი, რომელსაც ჩვენი მთავრობის მიერ სწორად და ეფექტურად გამოყენება სჭირდება.

საქართველომ დემოკრატიზაციის პროცესში შეცდომა არ უნდა დაუშვას, ამ ორგანიზაციის წესებით გათვალისწინებული პირობები უნდა შეასრულოს და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რომ ეს განცხადება რეალურ ქმედებად იქცეს.

ჩემი აზრით, მთავრობამ მხედველობაში უნდა მიიღოს ეუთოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში პოლიტიკურად მოტივირებული დევნის რეალური ეჭვი და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტები არსებობს.

თაკო ჩარკვიანი (პუბლიცისტი): ძალიან გამიხარდება, რომ ეს განცხადება მართლაც ამას ნიშნავდეს, მაგრამ უკრაინის მოვლენების ფონზე ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა იმიტომ, რომ პატარა ქვეყანა ვართ და ტერიტორიები დაკარგული გვაქვს, თუმცა, ასეთ განცხადებას მარტივად არ აკეთებენ.

ლაშა ჩხარტიშვილი (უფლებადამცველი): საქართველო სამხედრო თვალსაზრისით დიდი ხანია, მზადაა ნატოში ინტეგრაციისათვის, მაგრამ თავად ნატოს მზაობაც კითხვის ნიშანს ბადებს. ეს მხოლოდ საქართველოს სურვილზე არაა დამოკიდებული.

ერთია, სამხედრო მზაობა, სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა, თუმცა მეორეა, დემოკრატიული პროცესების განვითარება.

მიშა თავხელიძე (პოლიტოლოგი): ჩემი აზრით, საქართველო ნატოში შესასვლელად ახლაც მზად არის. თუმცა, ახლა დასავლეთის ურთიერთობა რუსეთთან ისეთია, შეიძლება, ვიფიქროთ, რომ ნატოში საქართველოს წევრობა უფრო რეალურია, ვიდრე ხუთი წლის წინათ.

გასულ კვირას სხვა უამრავი საკითხიც იდგა დღის წესრიგში, მაგრამ ქართული მედია მათ ან „ორი ყურის“ პრინციპით მოეკიდა, ან მცირე ნიუსის სახით შემოგვთავაზა. ბოლოს კი, იმედს ვიტოვებ, რომ მომავალი კვირა უფრო დატვირთული იქნება, რასაც აუცილებლად გამოვეხმაურები.

გია გაბრიჭიძე

P. S. გასული კვირის ქართული პრესის ეს მიმოხილვა, სასტიკად არ მოეწონა ე. წ. გაზეთის „ქრონიკა+“-ის რედაქტორს ქ-ონ ელისო კილაძეს. ერთხელ ნიკა აგიაშვილს (ქ-ონი ელისო, ნიკა აგიაშვილზე თქვენი „ნასედკები“ ვერაფერს გეტყვიან) პიკასო გაუკრიტიკებია (ვერც პიკასოზე გეტყვიან). ნიკა აგიაშვილს ლადო ასათიანმა ასეთი ფუნაგორია უძღვნა (სიტყვა ფუნაგორიაც არ ეცოდინება ქ-ონ ელისოს და მაგის ახსნას ახლა ნამდვილად არ ვაპირებ).

„აგიაშვილსა, ნიკასო,
არ ნაყვარება პიკასო,
გადარეულა პიკასო,
რა დავუშავე ნიკასო!“

მეც თავს უფლებას მივცემ და მცირე ფუნაგორიას მივუძღვნი „ქართული პრესის მშვენებას“ ელისო კილაძეს:

„თუმცა მიჭირს,
უნდა გითხრა,
ქალბატონო ელისო,
თუ დაიჭირეს ერეკლე
ცუდი ამბები გელისო!“

P. P. S. ვინმე ერეკლეს დადგენაში თქვენი „ნასედკები“ დაგეხმარებიან!

გ. გ.

◎ ფართოდ გააახილე თვალები, ევროპა!

ზღვარგადასული „გამოხატვის თავისუფლება“, როგორც ადამიანის უფლება, და შელახული ღირსების დაცვა, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება

(მესამე გვერდიდან)

ვიმეორებ, კაცის კვლას გამართლება არა აქვს! „არა კაც კლა“ არის ძირითადი რელიგიების უმთავრესი პოსტულატი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი ფაქტი უეჭველად გეცემა კაცს თვალში — **რატომღაც მხოლოდ ქრისტიანობა და ისლამი, მუჰამედი, ყურანი, ქრისტე, მარიამ ღვთისმშობელი და წმინდა სამებაა უზნეო კრიტიკის სამიზნე, და არასოდეს — იუდაიზმი, იეღოვა, მოსე და თორა.**

აქედან გამომდინარე, ისევე, როგორც ყოველთვის, უპირველეს კითხვად უნდა დაისვას: ვის აწყობს ამგვარი „გამოხატვის თავისუფლება“ და მისგან გამომდინარე სავალალო შედეგები? ხოლო შემდეგ, თუ ვინ და რატომ ჩაიდინა ტერორისტული ქმედება. ბოლოდან თუ მივყვებით, თავშიც ადვილად გავალთ. პასუხი ბოლო ორ კითხვაზე ცნობილია — ჩაიდინეს ისლამის მიმდევრებმა მუჰამედის და ყურანის შეურაცხყოფისთვის (ახსენებენ აგრეთვე, ისლამური ხალიფატის ლიდერის ალ ბაღდადის სახელსაც). ვინ და რატომ მიაყენა შეურაცხყოფა მუსლიმანებს, და მიაყენა კი ნამდვილად? აქაც პასუხი გარკვეულია — მრავალი წელია, უკვე არა მარტო ისლამს, ქრისტიანობასაც (უფრო მეტადაც კი!) მიწასთან ასწორებენ ყოვლად მიუღებელი ხერხებით. ვინ ბედავს ამას? სხვადასხვა ევროპული სახელმწიფოს მასმედია, პირველ რიგში კი, მათი ფლაგმანი — ფრანგული ჟურნალი „შარლი ებდო“. ვინ დგას ამ ჟურნალის სათავეში, ვინ განსაზღვრავს მის იდეოლოგიურ კურსს? ამაზე, ლიბერასტები ნამდვილად აყვირდებიან: რის იდეოლოგია და რის განსაზღვრა, ეს ევროპაა, იქ ჟურნალისტები თავისუფლები და დამოუკიდებლები არიან არჩევანში, ვისაც რა მოეპრიანება იმას წერს და იმას ხატავსო! მაშინ ლოგიკური კითხვა იბადება: **როგორ მოიყარეს ჟურნალის რედაქციაში ერთნაირად მოაზროვნე ადამიანებმა თავი, რომლებიც მხოლოდ(!) ქრისტიანობასა და ისლამს იგდებდნენ მასხრად?!** ასეთი შემთხვევითობა ხომ გამორიცხულია! ე.ი. ვიღაცამ შეარჩია ისინი რაღაც ნიშნით და, სავარაუდოდ, დავალებაც მისცა! ამის გაკეთება კი მხოლოდ მფლობელს შეეძლო და, სხვას — არავის. ამ კითხვაზე პასუხი უდავოდ საინტერესო იქნებოდა, იგი ბევრ რამეს ახდიდა ფარდას, მაგრამ ზედა ეშელონებს, როგორც ყოველთვის, სამწუხაროდ, არავინ ეხება! როგორც ჩანს, პარიზის პოლიციის უფროსი, რომელიც ამ საქმეს იძიებდა, შეეხო მათ (ან შეეცადა შეხებას), რასაც შედეგად მისივე თვითმკვლელობა (თუ მკვლელობა?) მოჰყვა!

გაოცებას იწვევს პარიზის ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტის ინტერპრეტაციაც — როდესაც ორი ტერორისტი კოშერულ, ანუ ებრაულ სასურსათო მაღაზიაში შეიჭრა (შეგნებულად თუ შემთხვევით, არავინ იცის), ეს შეჭრა უცებ მონათლეს ანტისემიტიზმად; ქრისტიანების და მუსლიმანების წმინდანების წარმოუდგენელ პოზებში დახატვა კი, ამ ორი რელიგიის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად კი არ უნდა შევაფასოთ, არამედ, „გამოხატვის თავისუფლებად“ უნდა აღვიქვათ, თურმე! კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა!

გამაოცა, აგრეთვე, ყველასგან პატივსაცემი ადამიანის, ქართველი ფრანგი ქალბატონის სალომე ზურაბიშვილის პოზიციამ. „თავისუფლება არის ისეთი რამე, რომელიც არ ნაწილდება, **არ შეიძლება, რომ ზღვარი სადღაც გაიყვანო, თქვა, რომ რაღაცის დაბეჭდვა შეიძლება, რაღაცის — არა.** იმიტომ, რომ მაშინათვე ისმება კითხვა: ვინ იღებს გადაწყვეტილებას, რომ რამე აიკრძალოს, ვის აქვს ამის უფლება, სად გადის რეალურად ზღვარი?... **არა მგონია, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში... პირადად ადამიანები არიან პასუხისმგებლები ამაზე... აკრძალვა ჩემთვის, როცა ეს ეხება პრესას, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ეს, არ არის მისაღები“,** — განაცხადა მან „ობიექტივის“ ეთერში სკაიპით ჩართვისას პარიზიდან, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, მართლმადიდებელმა ქრისტიანმა ადამიანმა დასაშვებად მიიჩნია მსგავსი კარიკატურების დაუსჯელად გამოქვეყნება, და დაუშვებლად მიიჩნია მათი გამოქვეყნების აკრძალვა! მაგრამ **როგორ შეიძლება მხარი დაუჭირო ისეთ თავისუფლებას — სიტყვის, ქმედების თუ გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც აუცილებლად საფრთხეში ჩააგდებს ცალკეული ადამიანების სიცოცხლეს და დიდი ალბათობით ეროვნებათაშორის შუღლსაც გააღვივებს რელიგიურ ნიადაგზე!** მარშირება უშველის მერე დატრიალებულ უბედურებას?!

კი გამაოცა ქ-მა სალომემ, მაგრამ მალევე მივხვდი — სხვა რეაქცია, საქართველოზე შეყვარებულ, მაგრამ საფრანგეთში დაქალებულ და ამერიკის საგარეო პოლიტიკის წამყვანი იდეოლოგის, ცნობილი ზბიგნევ ბჟეზინსკის მოწაფეს, ალბათ, არც შეიძლება ჰქონოდა. უფრო გასაგები რომ იყოს, ამ იდეოლოგის მხოლოდ ერთ გამონათქვამს მოვიტან: **„ახალი მსოფლიო წესრიგი აშენდება რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთის ნანგრევებზე(!) და რუსეთის ხარჯზე“** (საქართველოს ვინ მოახვედრებს ამ ნანგრევებში, ან ერთი ან მეორე მხრიდან, გეკადრებათ!). ბჟეზინსკის მიერ დაგეგმილი საგარეო პოლიტიკა ზუსტად ემთხვევა პოლიტიკური სიონიზმის ფუძემდებლის თეოდორ ჰერცლის (იგივე ბენიამინ ზეევი) მოსაზრებას: **„იმისათვის, რათა დავეპატრონოთ მსოფლიოს, საჭიროა დავეპატრონოთ რუსეთს“!**

და მაინც რა უნდა იყოს საყოველთაო განგაშის, ანუ პარიზში გამართული მარშის მთავარი მიზანი? ვფიქრობ, ზუსტად იგივე, რაც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გაირკვა მალევე — ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით ნებისმიერ ეჭვმიტანილ სახელმწიფოზე თავდასხმის გაიოლება; მოსახლეობის კიდევ უფრო დაშინება და კონტროლის გამკაცრება ყველაზე და ყველაფერზე (მოსმენები, ინტერნეტ-ფოსტის და საბანკო ანგარიშების საყოველთაო შემოწმება); „გონივრული“ თუ არაგონივრული ეჭვით მოქალაქეების გახშირებული დაკავება; დაკითხვის კიდევ უფრო „თანამედროვე“ მეთოდების დანერგვა და ა.შ.

ბოლოს, დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი: **თუკი, ადამიანების შეუზღუდავი და განუკითხავი „გამოხატვის თავისუფლება“ განიხილება, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ადამიანის უფლება, მაშინ ადამიანების მიერ საკუთარი ღირსების და რელიგიური გრძნობების დაცვა ამ ზღვარგადასული „თავისუფლებისგან“, ანალოგიურად განხილულ უნდა იქნას, როგორც ნებისმიერი ადამიანის ფუნდამენტური უფლება! და, თუკი, შესაბამისი კანონის უქონლობის გამო ადამიანები ღირსების დაცვას სხვადასხვა, ხშირად მიუღებელი გზით განახორციელებენ, ამაში დამნაშავე სახელმწიფო იქნება და არა — ეს ადამიანები!**

იაკობ ლეჟავა,
12 იანვარი, 2015

◎ ქართული პარადოქსი

ბანკები მოგებაში იხრჩობიან, ხალხი – სიღარიბეში

რატომ ხდება ასე და არა პირიქით, ამაზე პასუხის გაცემა არც თუ იოლი გახლავთ პარადოქსებით მდიდარ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც გავლენიანი ბრიტანული გამოცემის შეფასება, რომელმაც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მსოფლიოს 149 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის მოწინავედ შეარჩია. როგორც ცნობილია, გადაწყვეტილების მიღების მთავარი კრიტერიუმი საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადობა და სტაბილურობა გახდა...

არა მგონია, ჩვენში, ვინც კი ამის თაობაზე შეიტყო, ქართული ბანკის წარმატებით არ აღფრთოვანდეს და, ამავდროულად, გაკვირვებულ-განცვიფრებული არ დარჩეს. ხალხო ტარანი ანგარიშით არ არის? ამის წამკითხავი ან მომსმენი ხომ დაფიქრდება, რანაირად ხდება, რომ საქართველოში, სადაც ეკონომიკა ათეული წლებია, სულს ღაფავს და კუს ნაბიჯით ვითარდება, ბანკების მოგება წლიდან წლამდე ასეულ მილიონობით იზრდებოდეს? ასეთი კითხვა როცა ჩვენ, რიგით მოქალაქეებს გვიჩნდება, ეს კიდევ შეიძლება ბანკების მუშაობის სპეციფიკის უცოდინრობით აიხსნას, მაგრამ როცა იგივე საჭოჭმანო კითხვა ეკონომიკის ცნობილ ექსპერტებსა და ანალიტიკოსებსაც ებადებათ?

– მანახოს „ავტორიტეტულმა“ ბრიტანულმა გამოცემამ, რომელ ქვეყანაში ხდება, რომ ეკონომიკა ინგრეოდეს, ტოტალური უმუშევრობა იყოს, ბანკები კი ყვაოდეს და არანორმალურ მოგებას ნახულობდეს? – სვამს კითხვას პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ანალიტიკოსი **დემურ გიორხელიძე** და იქვე განმარტავს, რომ მისი თვალთახედვიდან და რეალობიდან გამომდინარე, **„ბრიტანული გამოცემის ყველა სიტყვა არის ყალბი, რადგან განადგურების პირას მისული ეკონომიკის პირობებში, საუბარია საბანკო სექტორზე, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი ფუნქცია, კლასიკური, საბანკო საქმიანობა გადაფარულია არაპროფილურ სფეროებში ბიზნესის კეთებით, საბანკო ჯგუფები წარმოდგენილია ოლიგარქიულ ჯგუფებად, რომლებიც გასაქანს არაფრის განვითარებას არ აძლევენ“.**

ექსპერტი გიორხელიძე შემთხვევით არ აკეთებს აქცენტს ბანკების არაპროფილურ ბიზნესსაქმიანობაზე. კომერციული ბანკები მართლაც სათავისოდ შესანიშნავად იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას – საკუთარი საქციო კაპიტალის 50 პროცენტი განათავსონ არაპროფილურ ბიზნესში. რა დასამალია, მას შემდეგ, რაც ბანკებს ამ კანონით ხელ-ფეხი გაეხსნათ, დაიწყო მათ მიერ ბიზნესის ანექსია. დღეს ბანკები ფლობენ სადაზღვევო კომპანიებს, სამშენებლო და სამედიცინო დაწესებულებებს, ღვინის საწარმოებს, ტურისტულ სააგენტოებს, ფიტნესკლუბებს და კიდევ რას აღარ. ამის შემდეგ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბანკმა კრედიტის გაცემისას პრიორიტეტი მიანიჭოს საკუთარ კომპანიას და არა კონკურენტს, რომელიც მიდის ბანკში სესხის ასაღებად.

აღარაფერს ვამბობ ბანკების მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთების თაობაზე (საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებშიც საბანკო კრედიტების საპროცენტო განაკვეთები ყველაზე მაღალია) და აქედან გამომდინარე, იმ მძიმე ურთიერთობებზე, რაც ბანკებსა და კრედიტორებს შორის იქმნება. **ლაპარაკია, უპირველეს ყოვლისა, ბანკების მიერ მომხმარებლებთან დადებულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც კაბალურია. კლიენტი მოკლებულია შესაძლებლობას თავის პოზიცია შეიტანოს ხელშეკრულებაში, ვინაიდან ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას დომინანტი მხოლოდ ბანკის ინტერესია. საკრედიტო ვადის გასვლის დროს ბანკები არ ითვალისწინებენ: კეთილსინდისიერი გადამხდელია თუ არა მომხმარებელი, გააჩნია თუ არა მას მუდმივი შემოსავლის წყარო, ვადაგადაცილება სისტემატურია თუ ერთჯერადი, ვადაგადაცილება განპირობებულია ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით და სხვა. ყველა ეს ფაქტორი იგნორირებულია, რაც კრედიტორს კაბალურ მდგომარეობაში აყენებს. ბანკების მხრიდან ასეთი უჯიათობის მსხვერპლია დღეს, მაგალითად, ათეულ ათასობით იპოთეკური სესხის მქონე მოსახლეობა, რომელთაც ვალის გადაუხდელობის გამო უბინაოდ დარჩენის საშიშროება ემუქრებათ. უთვალავი უკვე დარჩენილია!**

ბანკებთან საპირფერო აქვთ „კოალიციური მთავრობის“ ახალგამომცხვარ ჩინოვნიკებსაც, რომელთაც „სუფრა“ ნაცბანდისგან ერთიანად შეჭმულ-დაცარიელებული დახვდათ. ასეთ ვითარებაში ისინი ხელის გასამართად და მსხვილ-მსხვილი სესხების დასათრევად, ბუნებრივია, უმალვე ბანკებს მიადგნენ. რა თქმა უნდა, ძნელია წინასწარ ვივარაუდოთ, რა მოგებას გამოკრავენ ხელს კომერციული ბანკები მსხვილ-მსხვილი ჩინოვნიკების კრედიტებიდან მიღებული შემოსავლებით ან სესხების გადაუხდელობის შემთხვევაში ამ უკანასკნელთა ქონების დაყადაღება-გაყიდვით (ასეთ მონაცემებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ჯერჯერობით ვერ იძლევა), მაგრამ წინა მთავრობის გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, მსგავს აღება-მიცემობაში მხარეები არც თუ ურიგო ნადავლს უნდა ელოდნენ. სხვა თუ არაფერი, განა ნაციონალმა მიშბანდელებმა ფინანსური ხელმოკლეობიდან გამოძრომა მსგავსი სესხებით არ დაიწყეს?!

ხელისუფლებაში მომუშავე ჩინოვნიკებს რა უჭირთ (მაღალ ხელფასებთან ერთად პრემიებსა და სახელფასო დანამატებზეც არ ამბობენ უარს), ფული არ აკლიათ და იოლად გადაიტანენ მოგებაზე დახარბებული ბანკების მსუნაგობას, მაგრამ რა ქნას უმუშევარობითა და უსახსრობით გაწამებულმა მოსახლეობამ, რომელსაც კომუნალური შესატანების გადახდისას ბანკებისთვის საკომისიოს გადახდაც უწევს. **ყველას კარგად გვახსოვს, იყო პერიოდი, როცა მოსახლეობა დენის, გაზისა და წყლის დანახარჯის საფასურს ამავე დარგების კომპანიების მიერ გამოყოფილ სპეციალურ პუნქტებში იხდიდა ზუსტად იმდენს, რამდენსაც ხარჯავდა და საპრეტენზიოც არაფერი ჰქონდა. მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე „რევოლუციური რეფორმების“ კვალობაზე, ხსენებულმა კომპანიებმა მოსახლეობისგან ბანკებს გადასახადის აკრეფის ეს „არქაული ტვირთი“ თავად ჩამოიხსნეს და კომერციულ ბანკებს გადაულოცეს, თქვენ დიდი თავი გაბიათ და ტირილი მოგიხდებათო. თავიდან ბანკები „უცრემლოდ“ ასრულებდნენ და მოვალეობას, მაგრამ შემდეგ „გონს მოეგნენ“ და გაჭირვებულ მოსახლეობას, რომელიც გადასახადისგან ისედაც წელში წყდებოდა, მომსახურების სანაცვლოდ, საკომისიო გადასახადი დაუწესეს.**

რამდენი, არ იკითხავთ? თავიდან ყველა სახეობის (დენი, გაზი, წყალი, ნაგავი) გადასახადზე ერთად აღებულ 50 თეთრს ახდევინებდნენ, მაგრამ შემდეგ მადა გაუღვიძდათ და ეს 50 თეთრი ყველა ამ გადასახადზე სათითაოდ სავალდებულო გახადეს. იყო პერიოდი, როცა ცალკეული ბანკები „მორცხვობდნენ“ და მომხმარებელს მომსახურებისთვის არაფერს ახდევინებდნენ, მაგრამ ბოლოს სიმსუნაგემ ყველაფერს სძლია და „ხარკი“ მომსახურებისათვის ყველგან სავალდებულო გახადეს.

დღეს კომერციული ბანკები საქართველოში ხელიდან არ უშვებენ, რაც შეიძლება მეტი სარგებლის მიღების ისეთ შანსს, როგორიც გახლავთ საბანკო მარჯა, თანაც ახლა, როცა ეროვნული ვალუტა სტაბილური კურსიდან ამოხტა და წარამარა უფასურდება. ბანკები სარგებლობენ ლარის სისუსტით და უღმერთოდ ატყავებენ მოსახლეობას ვალუტის გადაცვლისას, ან გნებავთ, სესხის გასტუმრებისას. საქმე ის არის, რომ ბევრს შემოსავლები ეროვნულ ვალუტაში აქვს და სესხის გასტუმრების დაბალი საგადამცვლელო კურსით მნიშვნელოვან თანხას აკარგვინებენ. ბანკებს შორის ყველაზე დამაზარალებელი საგადამცვლელო კურსი „საქართველოს ბანკშია“, სადაც 1 დოლარში ხალისით გადაგიხდიან, ვთქვათ, 1,94 ლარს, მაგრამ იმავე მომენტისთვის თუ დოლარს იყიდით, უფრო მეტი ხალისით გადაგახდევინებენ 1,98 ლარს(!).

თუ შევადარებთ ბანკებსა და ჩვეულებრივ სავალუტო ჯიხურებს შორის ვალუტის კურსებს, ვნახავთ, რომ ბანკები ბევრად წამგებიან პირობებს სთავაზობენ კლიენტებს, ვიდრე ვალუტის გადამცვლელი პუნქტები. შესაბამისად, ვალუტის კონვერტაციისას ბანკები გაცილებით მეტ თანხას სძალავენ მოსახლეობას, ვიდრე რიგითი სავალუტო ჯიხურები.

ერთი სიტყვით, ვერ ნახავთ სფეროს, საიდანაც კომერციული ბანკები მოგებით პირს არ იტკბარუნებდნენ. თუმცა, გამონაკლისებიც ხდება. ამას წინათ ნაცნობი პენსიონერი შემხვდა ქუჩაში, გახარებული იყო, „ლიბერთი ბანკმა“ ერთი თვის პენსია ავანსად მომცდა და წამლები რაც მჭირდებოდა, ყველაფერი – ერთბაშად შევიძინეო.

– აგაშენა ღმერთმა, კარგი რამე მითხარი, ჩამოვართვი ხელი, – წინასწარ თუ მომცემენ, ერთბაშად 3 თვის პენსიაზეც არ ვიტყვი უარს, დენისა და გაზის იმხელა გადასახადი მომივიდა, ფულის სასესხებლად ვისთან გავიქცე აღარ ვიცი.

– მაგრამ არც მასეა საქმე, შენ რომ ავანსად გამხიარულდი, – მომიჭრა ვასომ, – ერთი თვის პენსიას იძლევიან უპრცენტოდ, თორემ თვეების მატებასთან ერთად, ბანკი, შესაბამისად, გადასახადის პროცენტსაც ზრდის – დაგიანგარიშებენ და, მაგალითად, თუ 5 თვის პენსიას ერთად აიღებ, დაახლოებით ერთი თვის პენსიას ბანკი მომსახურების საფასურად დაგატოვებინებს.

– ეგ უკვე უნამუსობაა, – ავპილპილდი მე, – განა ისეთი რა მომსახურება უნდა გამიწიონ, რომ გაჭირვებულ პენსიონერს, რომელსაც წამლის ფულიც არ გამაჩნია, ამხელა თანხა წამგლიჯონ?

აბა რა უნდა ელაპარაკო ამათ, გავაგრძელე ფიქრი ვასოსთან დამშვიდობების შემდეგ, პენსიონერს, რომ თავისივე პენსიას სესხად მისცემენ და მერე იქიდან პროცენტს ააფცქვნიან, ასეთი ბანკისგან რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ?

არავინ იფიქროს, რომ ბანკების მოგების წინააღმდეგი ვარ, ან იმ შეფასებისა, რომელიც ავტორიტეტულმა ბრიტანულმა გამოცემამ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაწეულ საქმიანობას მისცა. ღმერთმა ხელი მოუმართოთ, კომერციული ბანკები იმისათვის არსებობენ, რომ კრედიტები გასცენ და იქიდან მიღებული მოგებით თავიც ასარგებლონ და ქვეყანაც, მაგრამ არა ისე, რომ ამან ბიზნესიც აზარალოს და მოსახლეობაც. არ ვარგა, როცა ღატაკ ქვეყანაში რიგითი ადამიანები სიღარიბეში, ჩინოვნიკობა და ბანკები კი სიმდიდრეში იხრჩობიან!

ოთარ ხუციშვილი

◎ ჩვენ და ბუნება

თითოეული ხის მოჭრა ჩვენი ფილტვის მოჭრის ტოლფასია

დედაქალაქში მწვანე ნარგავების განადგურების წინააღმდეგ განგაშის ხმა მაშინ გაისმა, როდესაც უგულავას „კანტორის“ ნებართვით ასათიანის ქუჩაზე, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე, გამწვანებულ ზონას დაემუქრა საფრთხე (ერთ დღეში 42 ხე მოიჭრა), სწორედ მაშინ გაჩნდა მწვანე ნარგავების გადასარჩენი საინიციატივო ჯგუფი.

„მათ დაიწყეს თბილისში პარტიზანული მებაღეობა“ – კონკრეტული ადგილების საკუთარი ნებითა და ძალით გამწვანება. მათი ინფორმაციით, რომელიც ოფიციალურ სტატისტიკას ეყრდნობა, 2001 წლისთვის ქალაქში კულტურისა და დასვენების 7 პარკი იყო, რომელიც 267 ჰექტარზე იყო გაშენებული. ასევე, 91 ჰექტარი ეკავა უშუალოდ პარკებს, 217 ჰა – სკვერებს, 20 ჰა – ბაღებს, 9 ჰა კი – ბულვარს. ქუჩების მწვანე ნარგავების საერთო ფართი 390 ჰა იყო. იმავე პერიოდის მონაცემებით, მწვანე საფარი ერთ სულ მოსახლეზე 4,65 კვადრატული მეტრი იყო. ქუჩების გამწვანების დამატებით კი 7, 65 კვ.მ. ეკოლოგი ილია ხომერიკი აცხადებს, რომ დღეს არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა ამ კუთხით მაშინ შეიქმნა, როდესაც 2009 წელს „ვარდოსნების“ თბილისის საკრებულომ დედაქალაქის 40-მდე გამწვანების ზონას რეკრეაციული სტატუსი მოუხსნა. ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე 150-ზე მეტი რეკრეაციული ზონა გაიჩეხა; მათ შორის, ბაღები, პარკები, სკვერები და ა.შ. სწორედ „ნაცების“ ხელდასხმული საკრებულოს ხელში გაიჩეხა მწვანე ტერიტორიები ჯანაშიას ქუჩის კუთხეში, იპოდრომზე, მთლიანად გაიჩეხა ჭადრები აღმაშენებლის ტერიტორიაზე. ამ დროს შემცირდა ვაკის, მზიურის, კიკვიძის პარკების ტერიტორიები.

ეკოლოგიის მაგისტრი ლაშა ჩხარტიშვილი ამბობს, რომ დარჩენილ მწვანე ზოლს თბილისელები საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობას უნდა უმადლოდნენ. მისი სიტყვით, თუ ევროპულ დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე15 კვ.მ რეკრეაციული ზონა მოდის, დედაქალაქში, ის საერთო ჯამში 4,5-ს ძლივს თუ აღწევს. თუმცა, მონაცემების სიზუსტეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ მოსაზრებით, რომ ნაციონალების ზეობისა თუ პარპაშის დროს მთელი 11 წლის განმავლობაში არ მომხდარა მწვანე ნარგავების აღწერა. სპეციალისტი გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნევს იმ გადაწყვეტილებებზე მორატორიუმის გამოცხადებას, რომელიც „ნაცმოძის“ მმართველობის განუკითხაობის პერიოდშია მიღებული და რომლის ნებართვების ძალითაც, დღესაც მიმდინარეობს უმოწყალო შეტევა მწვანე გარემოზე.

ჩხარტიშვილი აქვე აპროტესტებს მერიის გადაწყვეტილებასაც, ბაგებში ნარგავების გაჩეხისა და იქ სკოლის მშენებლობის დაწყების თაობაზე. იგი თვლის, რომ სკოლის აშენება კაზინოს ან ბარის აშენებას ნამდვილად სჯობს, მაგრამ არა ბუნების განადგურების ხარჯზე.

ეკო საკითხებში სპეციალისტები, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ძალიან კარგია ძველი ნარგავების შენარჩუნება, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ახალი გამწვანების ზოლების შექმნაც. თითოეული ხის მოჭრა ჩვენი ფილტვების მოჭრის ტოლფასია, თვლიან ეკოლოგები, განსაკუთრებით კი ხაზს უსვამენ მწვანე ნარგავების მნიშვნელობას მომავალი თაობისათვის – ბავშვებისათვის.

ზაზა ბილიხოძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ნატოსთან და ევროკავშირთან დაახლოება საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა, როგორც ძირითადი საგარეოპოლიტიკური ამოცანები 2015 წლისთვის. მის პირველ ნახევარში საქართველოში, უელსში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სექტემბრის სამიტის გადაწყვეტილებით, უნდა გაიხსნას ნატოს სასწავლო ცენტრი, რომლის მიზნები და ამოცანები ჯერ კიდევ ზუსტდება. მაისში რიგის „აღმოსავლური პარტნიორობის“ სამიტზე, საქართველოს იმედი აქვს მოისმინოს ახალი შექებანი და მიიღოს დამატებითი სტიმულები, ისეთები, როგორიცაა შესაძლებლობა მისი მოქალაქეების ევროპის ქვეყნებში უვიზოდ გასვლის შესახებ. პარალელურად საქართველო აფიქსირებს მთავარ საფრთხეს — თუ რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ორი წლის ყოფნის პერიოდში შეძლო დაეთმო ზოგიერთი რამ საკუთარი ბიუჯეტის სასარგებლოდ, პოლიტიკური წარმატებები არ არის. ძველებურად გათიშულია დიპლომატიური კავშირურთიერთობანი, თბილისი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს „ოკუპირებულ ტერიტორიებს“ უწოდებს და მოსკოვს ბრალს სდებს იმის სურვილის უქონლობაში, რომ აწარმოოს კონსტრუქციული დიალოგი. პარლამენტის საგარეო პოლიტიკური კავშირურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე, წარსულში საგარეო საქმეთა მინისტრი და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე ინტერვიუში „რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში“ გვიზიარებს თავის პროგნოზებს და დასკვნებს.

თედო ჯაფარიძე:

ჩვენ რუსეთისგან მეტ პოზიტივს ველოდებოდით

— რა განასხვავებს „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკას წინა ხელისუფლებისგან“.

— ჩვენი ყოფნა ხელისუფლებაში 2012 წლის შემოდგომიდან აღინიშნა სტრატეგიული კურსის დადასტურებით ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციაში (სხვათა შორის, ნატოსთან დამოკიდებულებაში ჩვენ კურსი არ შეგვიცვლია, გადავაადგილეთ მხოლოდ აქცენტები. შევწყვიტეთ ყოველდღიური ყვირილი, რომ გვსურს იქ შესვლა, ვმუშაობთ რუტინულ სამუშაო პროცესზე, რაც ყველაზე მძიმეა). მაგრამ ასევე გაჩნდა ახალი სეგმენტიც. თბილისმა წარმოაჩინა მეტი მზადყოფნა რუსეთთან ურთიერთობისთვის, განსაკუთრებით ნაკლებად პოლიტიზებულ სფეროებში. ჩვენ ვცდილობთ ავაგოთ „ურთიერთობა დიპლომატიური ურთიერთობების გარეშე“, როგორც ჩემმა რუსმა კოლეგამ ალექსეი პუშკოვმა აღნიშნა. ეს თავისთავად რთული ამოცანაა, ჩვენ შემთხვევაში კი — პარტნიორის შეუმჩნეველი მოძრაობა შესახვედრად. უფრო მეტიც, ჩვენ „ღვინო — მინერალურ დიპლომატიაზე“ რუსეთმა უპასუხა აფხაზეთთან სამოკავშირეო შეთანხმების ხელმოწერით და ასეთსავე დოკუმენტს ამზადებს ჩვენი ტერიტორიის მეორე ნაწილისთვის — სამხრეთი ოსეთისთვის. ესე იგი, ჩვენს იმ რეგიონებთან, რომლებსაც ოკუპირებულად მივიჩნევთ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ შევძელით ფარგლებს გარეთ გაგვეტანა დიპლომატიური ურთიერთობის საკითხი. რუსეთმა კი, პირიქით, ჩვენს ურთიერთობაზე ევროკავშირთან უპასუხა ხელშეკრულებით აფხაზეთთან.

ბუნებრივია, ჩვენი კავშირები არ უნდა შემოიფარგლოს ჩრდილოეთის ბაზარზე „ბორჯომისა“ და „წინანდლის“ მიწოდებით. არ გვყოფნის ზუსტად პოლიტიკური კომპონენტი. ვერ დავფარავ, რომ ჩვენ მეტ პოზიტიურ ძვრებს ველოდებოდით ამ დარგში, თუმცა, განსაკუთრებული ილუზიებიც არა გვქონია...

— დამოუკიდებლობის მოპოვების დასაწყისიდანვე საქართველო მიისწრაფვის მიიღოს ევროპული ან ევროატლანტიკური „უშიშროების ქოლგა“ მრისხანე მეზობლისგან. მაგრამ ამ მეზობელს — რუსეთს — არ მოსწონს საქართველოს მისწრაფება ალიანსისკენ. როგორღა შევათავსოთ, რომ ზიანი არ მიადგეს ეროვნულ უშიშროებას?

— საქართველოს საგარეო პოლიტიკის სისტემის ჩამომყალიბებელი გზავნილი — ესაა კურსი დასავლურ ღირებულებებზე, ორიენტირებსა და იდეალებზე. ეს არის ჩვენი სახელმწიფოს იდენტურობის საფუძველი თანამედროვე მსოფლიოში. სხვათა შორის, არავის უფრო მეტად მიმზიდველი რამე არ შემოუთავაზებიათ. მაგრამ არ შეიძლება ვიაროთ ამ გზით თვალდახუჭულებმა. რეგიონში არასტაბილურობის გაღრმავების შიშით ნატო მუდამ თავს იკავებს იმისგან, რომ მიანიჭოს საქართველოს წევრობის კონკრეტული მოქმედების გეგმა.

— ზოგიერთი ექსპერტი ლაპარაკობს შესაძლო „ფინეთიზაციაზე“, ნეიტრალიტეტზე საქართველოსთვის.

— მართლაც, პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიიჩნევს, რომ მცდელობანი შევიდეს ნატოში უნაყოფოა, ამიტომ „ფინეთიზაცია“ საქართველოსთვის ყველაზე გონივრული იქნებოდა. მე ამას აკადემიურ დისკუსიას ვუწოდებდი. ჯერ ერთი, რომ მოვახდინოთ ეს „ფინეთიზაცია“, უნდა იყო ფინელი, პრაგმატიკოსი და რეალისტი განსაკუთრებული მენტალობით. გვქონდეს უნარი — გაუწიო წინააღმდეგობა და თანმიმდევრულად დაიცვა შენი სტრატეგიული, ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი ინტერესები. მეორეც, უნდა გაითვალისწინო ისიც, რომ „ფინეთიზაციის“ პროცესს თან ახლდა განსაკუთრებული ისტორიული პერიოდი, იყო განსაკუთრებული ისტორიული პირობები ამ მოდელის ცხოვრებაში განხორციელებისთვის. და კიდევ, რუსეთი იმ მომენტში ფინეთს განიხილავდა როგორც უკანა ეზოს, საქართველოს კი — ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ, სამწუხაროდ, აქვს უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული მდგომარეობა, რომლის კონტროლიც რუსეთისთვის — ესაა კონტროლი მთელ სამხრეთ კავკასიაზე, და არა მხოლოდ მარტო მასზე.

ხანმოკლე და საშუალო პერსპექტივაში „ფინეთიზაცია“, შეიძლება, საშუალებას მისცემდა საქართველოს მოეგო დრო. როგორც განვითარების ამ გზის ქართველი და უცხოელი მომხრეებს მიაჩნიათ, მაშინ მოვლენები თავად რუსეთის შიგნით შეიძლება ხელსაყრელი ყოფილიყო საქართველოსთვის. ამ აზრის არსი ასეთია: საქართველო არ დაკარგავდა საგრძნობლად რაიმეს, ვინაიდან მას მაინც არა აქვს მყარი უშიშროების შეგრძნება, სანამ ქვეყანა ნატოსკენ გზების ძიებაშია.

მაგრამ ამჟამად უკიდურესად ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე ქართველმა ლიდერმა დაიცვას შესაძლო ნეიტრალიტეტის იდეა, გარისკოს თავი ოპონენტების ობსტრუქციისგან ქვეყნის შიგნით, აგრეთვე დაიცვას თავი ბევრი უცხოელი მთავრობის კრიტიკისგან. ამას დაუყოვნებლივ მოჰყვება ასეთ მოღვაწეზე „პრორუსული“ იარლიყი.

მაშ ასე, შევთანხმდეთ, რომ ასეთი არჩევანი აუცილებლად მიიღებს „პროდასავლური ვექტორის გაყიდვის“ წარმოსახვას. ასეთ ქართველ ლიდერს აღიქვამდნენ, როგორც რუსეთის მარიონეტს. ამას გარდა, და ეს ცხადია, ნეიტრალიტეტის მარტივი დეკლარაცია არ იქნებოდა იმის გარანტია, რომ რუსეთი მას პატივს სცემდა.

— რა არის უკეთესი ასეთ პირობებში საქართველოსთვის?

— ვაღწევთ პროგრესს, როდესაც ასეთ გზას ვირჩევთ: ნაკლები რიტორიკა, მეტი საქმე. რას ნიშნავს ეს? ცხადია, რომ რუსეთი არ დაივიწყებს ჩვენს მოძრაობას დასავლეთისკენ, მაგრამ მისთვის უფრო იოლი იქნებოდა მისი უგულებელყოფა, თუ შევამცირებთ საუბრებს, მაგრამ ვიშრომებთ დაუღლელად. შუალედური ინსტრუმენტები ჩვენთვის ნატოს ყოველწლიური პროგრამებია და თანამშრომლობის გაღრმავების პაკეტის იმპლემენტაცია, რომელიც მიღებული იქნა საქართველოსთვის უელსში. ამ დღეებში ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუმ თქვა, რომ არსებობს ყველა საფუძველი, ყველა ინსტრუმენტი ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მოძრაობაში იყო პროგრესი. თუ საქართველო გვერდს აუვლის კონფრონტაციას რუსეთთან, ეს მეტ სივრცეს მისცემს ამერიკას, ევროკავშირს, ნატოს მანევრებისთვის, რათა აწარმოონ დიალოგი რუსეთთან საქართველოს შესახებ...

— ამჟამად იმის შესახებ, რომ შეიძლება შეხვედრა, საუბრობდნენ ვლადიმერ პუტინიც, საქართველოს ხელმძღვანელებიც.

— ასეთი წინადადებები მართლაც იყო. საჭირო იყო მათი განვითარება, მაგრამ საჭიროა სათანადო მომზადება შეხვედრისთვის. ხელმძღვანელების ნდობითი ურთიერთობანი მნიშვნელოვანია და სასარგებლო ნებისმიერი განხილვისთვის. ჩვენ შეგვიძლია, ვისაუბროთ არა მხოლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, არამედ ვაჭრობაზეც, თანამშრომლობაზეც რეგიონალურ საკითხებში, საერთო გამოწვევებზე, ისეთებზე, როგორიცაა მთიანი ყარაბახი ანდა ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამისტი რადიკალების მომზადების პროგრამა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, როგორ მივიღოთ მოგება ჩვენი პოტენციური ღირებულებებისგან რუსეთში, განვსაზღვროთ დარგები, რომლებშიც რუსეთი და საქართველო შეიძლება იყვნენ პარტნიორები საერთო საფრთხის წინაშე. მიმაჩნია, რომ რუსეთი დააფასებდა ჩვენს ძალისხმევას ასეთი გამოწვევების მინიმუმამდე დაყვანაში. რუსეთის უსაფრთხოება შეეხება საქართველოს უსაფრთხოებას, ეს ჩვენს ინტერესებშია — გვქონდეს უფრო სტაბილური ჩრდილოეთი კავკასია. რუსეთმა უნდა გაიგოს, რომ საქართველოს არ სჭირდება არასტაბილურობა მასში, ეკონომიკური კრიზისი, მით უმეტეს რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობათა მნიშვნელოვანი გაზრდის ფონზე და იმ ფულადი გზავნილების გათვალისწინებით, რომლებიც რუსეთიდან შემოდის იქ მომუშავე ქართველი თანამემამულეებისგან...

— თბილისი არ ფარავს უკმაყოფილებას უკრაინის მთავრობაში მიხეილ სააკაშვილის გარემოცვიდან ადამიანების დანიშვნასთან დაკავშირებით. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ღიად ურჩია კიევს, მეტი დისტანცია იქონიოს საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან და მის თანამებრძოლებთან, მაგრამ ამ მიმართვას მოქმედება არ მოჰყოლია. ამას ხომ შეუძლია გააუარესოს საქართველოს და უკრაინის ურთიერთობანი. თანაც მთავრობის ხელმძღვანელსაც, მინისტრებსაც, თქვენც განზრახული გაქვთ მაინც ჩახვიდეთ კიევში. როგორ გავიგოთ ეს ყოველივე?

— ქართველი ხალხი უკრაინელების გვერდითაა, რომელიც რთულ პერიოდშია. ჩვენ განვიცდით ყოველივე იმას, რაც უკრაინაში ხდება, ვცდილობთ, ვიმოქმედოთ ზომიერად. მაგრამ უკრაინისგანაც ამგვარ რამეს ველოდებით. უკრაინის მიერ მიწვეული ქართველი ჩინოვნიკები ხომ იყვნენ ურთიერთობაში ტოტალური სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით. ციხის კადრები აისბერგის მწვერვალია. საქართველოს 300 ათასი მოქალაქე, ესე იგი პრაქტიკულად ყოველი მეათე მოზრდილი ადამიანი, სააკაშვილის დროს იყო პატიმარი ან პრობაციონერი. ეს ხომ გამაოგნებელი სტატისტიკაა! დიახ, გაკეთდა კარგი რამეც მათი ხელისუფლებაში ცხრა წლის განმავლობაში ყოფნის დროს. ქართული სახელმწიფო გახდა უფრო ძლიერი, მაგრამ სისტემა მთლიანად იყო უკონტროლო, მუშაობდა ერთი კაცისა და მასთან დაახლოებული პირების სურვილებით. გამჭვირვალე პოლიციის განყოფილებები ვერ ხედავდნენ, თუ იქ სინამდვილეში რა ხდებოდა. პოტიომკინის სოფლები! ეს იყო სისტემა, რომელშიც ერთმანეთს ეხამებოდა ჯონათან სვიფტის კარიკატურული ფორმები და ჯორჯ ორუელის დამამძიმებელი თხრობები.

Россия в глобальной политике

РОССИЯ В ГЛОБАЛЬНОЙ ПОЛИТИКЕ

დედამიწის ზურგზე

საფრანგეთში აკრიტიკებენ „ეროვნული ფრონტის“ დამფუძნებელ ლე პენს, რომელმაც სპეცსამსახურებს ბრალი დასდო პარიზში ტერორისტული აქტების ორგანიზაციაში

ჟან-მარი ლე პენის გამონათქვამებმა ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის აღშფოთება გამოიწვია. პოლიტიკოსის სიტყვებმა ასევე დიდად გააბრაზა მისი ქალიშვილი მარინ ლე პენი, რომელიც „ეროვნულ ფრონტს“ უდგას სათავეში და რომელიც ახლა ცდილობს შორს იყოს მისი პროვოკაციული წინადადებებისგან.

* * *

პაკისტანში მუმბაიდან წინასწარმეტყველ მუჰამედზე კარიკატურების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაწვეს ოლანდის ფიტული

პაკისტანის ქალაქებში ყველგან წვავენ ფრანგულ დროშებს, მოითხოვენ აკრძალონ კოველკვირეული ჟურნალი, რომელმაც მუჰამედის კარიკატურები დაბეჭდა და ასევე მოუწოდებენ, შეწყვიტონ დიპლომატიური ურთიერთობა საფრანგეთთან. რელიგიურმა ექსტრემისტებმა ასევე მოითხოვეს გაეროსგან — ღვთის გმობის ნებისმიერი ფორმა აღიაროს საერთაშორისო დანაშაულად.

* * *

ნიგერიელი ბოევიკები „ბოკო ჰარამიდან“ თავს დაესხნენ კამერუნის სოფლებს და გაიტაცეს 80 კაცი, ძირითადად ქალები და ბავშვები

შეტევა გახდა პასუხი ჩადის გადაწყვეტილებაზე გამოაგზავნოს თავისი სამხედროები ნიგერიისა და კამერუნის არმიების ქვედანაყოფების დასახმარებლად, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას ჯიჰადისტებთან. მეთვალყურეები ამბობენ ყველაზე დიდი გატაცების შესახებ კამერუნის ტერიტორიაზე. ამ დროს ნიგერიაში ბოევიკებმა პირისაგან მიწისა აღგავეს მთელი ქალაქი, რა მოუვიდათ მის მცხოვრებლებს — უცნობია.

* * *

სომხეთის საგამოძიებო კომიტეტმა გიუმრიში უწესრიგობათა მონაწილეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა

საქმე აღძრულია მუხლებით „ხულიგნობა“ და „ძალის გამოყენება ხელისუფლების წარმომადგენლის წინააღმდეგ“. 15 იანვარს, სომხური ოჯახის წევრების დაკრძალვის დღეს, რომლებიც რუსმა სამხედრო მოსამსახურემ დახოცა, გიუმრიში გაიმართა მასობრივი საპროტესტო აქციები, რის შედეგადაც არიან დაზარალებულები და დაკავებულები.

ელეგანტური მსახიობი – ხის თხა

მგზნებარე და შმაგი ცხენის შემცვლელად 20 იანვარს 16 საათსა და 15 წუთზე ჩვენთან ახალი ასტროლოგიური დიასახლისი – არტისტული და ელეგანტური თხა მოვა.

პროგნოზით ზოდიაქოს ყოველი ნიშნისთვის თავის აზრს გვიზიარებს ცნობილი ასტროლოგი **ალექსანდრ ზარაევი**.

ვერძი

თუ ვერძებმა განისაზღვრეს ცხოვრების მთავარი მიზნები 2014 წლის შემოდგომაზე, ახალი წლის უკვე I კვარტალში ენერგია, შემოქმედება და სექსუალურობა ზღვარს გადალახავს. ისინი წარმატებით გააერთიანებენ სამუშაოს და პიროვნულს, გამოიყენებენ მეგობრებსა და კავშირურთიერთობებს. დაისახეთ პერსპექტივები 2 წლით ადრე. ინტუიცია გიკარნახებთ, თუ რა არის აქტუალური. გამოიყენეთ გამოჩენილი შანსი, ვინაიდან წლის მეორე ნახევარი ხელსაყრელია მათი გაფორმებისა და დამუშავებისთვის, და არა ახალი იდეებისთვის. იყავით უფრო ტაქტიკური.

კურო

კუროებისთვის წელიწადი დაიწყება არახელსაყრელად, გველოდება პრობლემები ფინანსებთან დაკავშირებით და საეჭვო წამოწყებები. ნუ შეიცვლით სამუშაოს, ნუ გახსნით ახალ ბიზნესს. სასიყვარულო და პარტნიორული ურთიერთობანი რამდენადმე დაგვამძიმებს, მოგვინდება განმარტოება. მაგრამ უკვე III კვარტალში ჩანაფიქრები შეიძლება წარმატებით განვახორციელოთ. ესაა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდი უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში, როდესაც კუროები წარმატებულები იქნებიან ფინანსებსა და სიყვარულში. კარგი დროა ოჯახის შექმნისთვის, ბავშვების დაბადებისთვის.

ტყუპები

წლის პირველი ნახევარი დაკავშირებულია აქტიურ მოგზაურობებთან, ახალ შეხვედრებთან, რომანტიკულ თავგადასავლებთან, რომლებიც გავლენას მოახდენენ ტყუპების მსოფლმხედველობაზე. ისინი მოინდომებენ შეიცვალონ სამსახური და ბევრი რამ თავიანთ ცხოვრებაში. ისინი მზად უნდა იყვნენ სერიოზული ცვლილებებისთვის. ამ წელს კარგია დაქორწინება, ახალი კარიერის დაწყება. წლის მეორე ნახევარში ტყუპებს რომანტიკული განწყობილება ექნებათ. ნუ შეგეშინდებათ ხშირი ურთიერთობებისა საკუთარი იდეების განხილვისას. შემთხვევითი შეხვედრები გვპირდებიან შანსებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ასევე 2015 წლის მეორე ნახევარში შეიძლება მივიღოთ დივიდენდები ადრე დაწყებულ პროექტებზე, შევიძინოთ საცხოვრებელი, ავიმაღლოთ ცხოვრების დონე.

კირჩხიბი

კიბოები 2015 წელს დაიწყებენ ფხიზლად და დინამიკურად, ისინი მიიღებენ ბევრ მიმზიდველ წინადადებებს, მათი ნიჭი კი ხელმძღვანელებს, მომავალ ინვესტორებსა და პარტნიორებს დააინტერესებს. სარისკო იდეებსაც კი ირგვლივმყოფები ვაშათი შეხვდებიან. გაიზრდება თქვენი პოპულარობა და წონა საზოგადოებაში, ეს კი კარგ გავლენას მოახდენს კარიერაზე, ფინანსებზე. მაგრამ ეს დრო დაამახსოვრდებათ კიბორჩხალებს მომხიბლავი რომანებით. სიყვარულმა კმაყოფილებებისადმი შეიძლება ჩამოგაშოროთ მთავარ მიზნებს. მთელი წლის განმავლობაში ირგვლივ ბობოქრობს ცხოვრება, მაგრამ გარეგნულად თქვენ დარჩებით თავშეკავებული. აი წლის მეორე ნახევარი კი იქნება მოუსვენარი და არც ასეთი წარმატებული. განიმტკიცეთ თქვენი პოზიციები პროფესიაში და ფინანსები წლის დასაწყისში, შემდეგ კი, როდესაც გადაიტანთ მცირეოდენ გამყინვარებას, ამაღლდებით ახალ საფეხურზე ყველაფერში.

ლომი

2015 წლის პირველ ნახევარში ლომებს უჩნდებათ განვითარების პროგრამა 4 ან 6 წლით. მათ ელოდებათ ძველი კავშირურთიერთობების განახლება, ეს კი გახსნის შემოქმედებითი და საკარიერო ზრდის პერსპექტივებს. თქვენ ხართ ენერგიული და უშიშარი, მაგრამ მოეთათბირეთ მეგობრებსა და ნათესავებს იმის წინ, სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებდეთ. მაშინ თქვენ იქნებით უფრო მობილიზებული და დარწმუნებული, სურვილი კი – ჩაეჭიდოთ ათას საქმეს ერთბაშად – თანდათანობით გაქრება. 2015 წელს ყველა სირთულე ლომებთან დაკავშირებულია მხოლოდ ნაჩქარევ არჩევანთან და კომპეტენტური ადამიანების აზრის უგულებელყოფასთან. თავდაჯერებულობა ძალიან დიდ ზიანს მოგვიტანს. თუ კონცენტრაციას გავაკეთებთ მთავარ პრიორიტეტებსა და მიზნებზე, ამაოდ არ დავკარგავთ დროს, ფულსა და ძალებს, წლის მეორე ნახევარში თქვენ გელოდებათ წარმატება – ფულადიც, საკარიეროც, მოგზაურობანი, ბევრი ურთიერთობანი. ხელსაყრელი დროა ჯანსაღი და ნიჭიერი ბავშვების ჩასახვისა და დაბადებისთვის, ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის.

ქალწული

წლის დასაწყისი ქალწულებისთვის ერთ წერტილზე გაყინვის, დეპრესიის, მელანქოლიის, გაღიზიანებულობისა და დაღლილობის დროა. ყურადღება მიაქციეთ საკუთარ კვებას, ჯანმრთელობას და... სიტყვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაგიჩნდებათ ფარული მტრები, მათ შეიძლება ისარგებლონ თქვენი შრომებითა და დანაზოგებით. ყურადღებით გადახედეთ ძველ კავშირურთიერთობებს, მათ შორის სასიყვარულოსაც. შეიძინეთ გამოცდილება – იგი წლის მეორე ნახევარში გეგმების განხორციელებაში გამოგადგებათ. ის ქალწულებს პოზიტიური აქვთ: გაგიკვირდებათ კიდეც, როდესაც თქვენს განწყობილებას გაიხსენებთ 2015 წლის დასაწყისში! თქვენ ფუნდამენტს უყრით მომავალ წარმატებებს 4 ან 6 წლით. რომანტიკული შეხვედრები შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. ხელსაყრელი დროა ჩასახვისთვის, ქორწინებისთვის, ახალი ბიზნესისთვის. ძველი ოცნებები მოულოდნელად ახდება!

სასწორი

სასწორები ავლენენ თავიანთ საუკეთესო თვისებებს, წელი კარგად იწყება! მათ ელოდება დიდი წინწაწევა საქმეებსა და ბიზნესში, ოღონდ ნუ გათამამდებიან და ნუ დაიწყებენ მეშვიდე ცაზე ნავარდს, წარმატებები ხომ მინიმალური ძალისხმევით მოდის. გამოიყენეთ! წლის მეორე ნახევარი იქნება უფრო მკაცრი, თავს წამოყოფენ ძველი შეცდომები. ზაფხულსა და შემოდგომაზე მოგიწევთ მარტო შრომა. ერიდეთ ყალთაბანდებს.

ღრიანკალი

2015 წლის დასაწყისი მეტად მნიშვნელოვანია ღრიანკალების წარმატებებისთვის კარიერასა და ბიზნესში. მოიმკით 9 წლის წინათ „დათესილის“ ნაყოფს. თქვენს დამსახურებას დააფასებენ: იქნება დაწინაურება და ხელფასები სამსახურში ან ახალი საინტერესო პროექტი. უმალვე დღესასწაულების შემდეგ მოგიწევთ არჩევანის გაკეთება: ძველი თუ ახალი? თუ გადაწყვეტთ, წახვიდეთ ცვლილებებზე, უკვე წლის მეორე ნახევარში შეიძლება მოვიდეს წარმატება. მაშინვე გაიზრდება თქვენი შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი.

მშვილდოსანი

წლის პირველი ნახევარი შეიძლება წარმატებით დაიწყოს, რაც 4 წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხდება! მადლობა პლანეტა იუპიტერის ვიბრაციებს ლომის ნიშნიდან: მშვილდოსნები აღსავსენი იქნებიან ენერგიით, ექნებათ წარმატებები მოპირდაპირე სქესთან. არ არის გამორიცხული ქორწილები, ბავშვების დაბადება, მოგზაურობები. იჩქარეთ განახორციელოთ თქვენი პატივმოყვარული გეგმები კარიერაში, ბიზნესში. პერსპექტიული გახდება შემდგომი მოგზაურობები და უცხოელებთან გაცნობა. წლის მეორე ნახევარში მშვილდოსნები შეიძლება ბოსები გახდნენ. ეს პერიოდი ხელსაყრელია იმათთვის, ვინც მიზნად ისახავს პროფესიული მწვერვალების დაპყრობას და გეგმების შესრულებას. ნუ შეგრცხვებათ სიმდიდრისა და პოპულარობისა, იყავით მზად რისკისთვის, და შემოდგომისთვის თქვენზე დიდი მოთხოვნები იქნება.

თხის რქა

2015 წლის პირველ ნახევარში თხის რქები თავს იგრძნობენ ემოციურად დათრგუნვილად. მათ ექნებათ კონფლიქტები ირგვლივ მყოფებთან, გამწვავდება ქრონიკული დაავადებანი, მოუწევთ ფინანსური პრობლემების გადაჭრაც. მაგრამ ისინი დაიწყებენ ახალი გზების ძებნას თავიანთი გეგმების განსახორციელებლად, ეს კი სულიერი განახლებაა. მოიკრიფეთ ძალები, გამოიჩინეთ ვაჟკაცობა და მოთმინება, უარი თქვით მავნე ჩვევებზე, თანმიმდევრულობით აკეთეთ თქვენი საქმე. და ივნისიც მოვა: თხის რქები სიმაღლეებისკენ დაიძვრებიან. გაჩნდებიან ახალი პარტნიორები, პროექტები, პოზიტიური ცვლილებები ცხოვრებაში. გადაიტანეთ წლის პირველი ნახევრის ასტრალური უამინდობა, შემდეგ კი შეგიძლიათ გარისკოთ (თუ რისკი დასაბუთებულია) და რწმენით იმოძრაოთ ფინანსური სტაბილურობისკენ.

მერწყული

წლის პირველი ნახევარი ბევრი მერწყულისთვის მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია.გააკეთეთ ყოველივე გლობალური, არავითარ შემთხვევაში არ გადადოთ! სწორედ ამ დროს გექნებათ მეტი შესაძლებლობა ბიზნესშიც, სიყვარულშიც, რამაც შეიძლება კარდინალურად შეცვალოს მერწყულთა ბედი, დაისახოს სტრატეგიული პროგრამა მრავალი წლისთვის წინასწარ. წლის დასაწყისში მერწყულებმა შეიძლება იგრძნონ თავი, როგორც გათავისუფლებულებმა ძველი ურთიერთობების ან ვალდებულებებისგან, აირჩიონ ახალი გზები და საშუალებები კარიერული ზრდისთვის – ისინი ამას განახორციელებენ ახალ პარტნიორებთან, მეგობრებთან, შეყვარებულებთან. ისწავლეთ, ეძებეთ ახალი კონტაქტები და მოკავშირეები. მერწყულები რამდენადაც შეძლებენ წარმატებით მოიწყონ თავიანთი საქმეები 2015 წლის პირველ ნახევარში გრანდიოზული ჩანაფიქრების შიშის გარეშე, იმდენად ხელსაყრელი შეიძლება აღმოჩნდეს წლის მეორე ნახევარი. იყავით ფხიზლად: საალბათოა მოულოდნელი დანაკარგები, ნათესავების ავადმყოფობანი, კონფლიქტებმა კი შეიძლება სასამართლომდეც კი მიგიყვანოთ. ერიდეთ დავებსა და ურთიერთობათა გარკვევებს.

თევზები

2015 წლის დასაწყისში ბევრ თევზს მოუწევს მიუძღვნას თავი სამუშაოს, კარიერას, პირადი ცხოვრებისთვის რჩება ცოტა დრო. მათ არ ეყოფათ ენერგია, ასე რომ, ყოველთვის მოუწევთ გააკეთონ არჩევანი ოფისსა და მეგობრებს, შეყვარებულებს შორის. ამ დროს მეტი დრო უნდა დავუთმოთ ჩვენს ჯანმრთელობას. II კვარტალში თევზები უკვე არიან „ფხიზლები, მხიარულები“, ქმნიან საფუძველს საქმეებში. მოაწყვეთ თქვენი გარემოცვის ორგანიზება, ჩააქრეთ კონფლიქტები და შეინარჩუნეთ სიმშვიდე წლის მეორე ხელსაყრელი ნახევრისკენ მიმავალ გზაზე. ეს მეორე ნახევარი აღმოჩნდება უფრო საინტერესო, პოზიტიური. საქმიანი კავშირურთიერთობანი მოიზიდავს ფინანსურ შემოსავლებს, რისი წყალობითაც თქვენ საიმედო საფუძველს ჩაუყრით მომდევნო 2 ან 4 წლისთვის. სიყვარული ასევე წლის მეორე ნახევრისთვის დაგეგმეთ – ყველაფერი შეიძლება ქორწილით ან ბავშვის დაბადებით დამთავრდეს. შეიძლება შეიცვალოთ საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო, წამოიწყოთ ახალი ბიზნესი. მიიღებთ ხელსაყრელ წინადადებებს, თქვენთვის უფრო იოლი იქნება განახორციელოთ თქვენი პირადი გეგმები.

Аргументы и Факты

◎ ჭიდაობა

ჭაბუკებმა ბაქოში იყოჩაღეს

აზერბაიჯანის დედაქალაქმა თავისუფალ ჭიდაობაში მუშვიგ ისაევის სახელობის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრებაში ჭაბუკი ფალავნები მონაწილეობდნენ, მათ შორის – საქართველოს წარმომადგენლები (მწვრთნელი გიორგი იანტბელიძე), რომლებმაც 6 მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ვანო გოდელაშვილი (54 კგ), ივერი ჯულაყიძე (69 კგ) და დემურ მეგენეიშვილი (76 კგ). გადამწყვეტ ბრძოლებში ჩვენებურებმა აზერბაიჯანელი მეტოქეები დაჯაბნეს: გოდელაშვილმა კანან შაჰბაზოვი დაამარცხა, ჯულაყიძემ – ისმაილ აბდულაევი, ხოლო მეგენეიშვილმა – რავილ ბადაზადე, გოგა მამიაურმა (58 კგ), თორნიკე კვინიკაძემ (63 კგ) და ზურა ურტაშვილმა (100 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.მედლამდე თითო მოგება დააკლდათ გია უგრელიძეს (42 კგ) და გიორგი ბრეგვაძეს (76 კგ) – რეპეშაჟის ფინალში დამარცხების შემდეგ ისინი მე-5 ადგილებზე გავიდნენ.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

კროოსი - 2014 წლის საუკეთესო გამთამაშებელი

გერმანიის ეროვნული ნაკრების და მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი ტონი კროოსი საფეხბურთო ისტორიის და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) 2014 წლის საუკეთესო გამთამაშებლად დაასახელა.

გერმანელისთვის 2014 წელი მნიშვნელოვანი გამოდგა. კროოსმა ბუნდესნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო და ტურნირის დასრულების შემდეგ მიუნხენის „ბაიერნიდან“ მადრიდის „რეალს“ მიაშურა.

ბოლო 6 წლის განმავლობაში აღნიშნული აღიარება მხოლოდ კატალონიის „ბარსელონას“ ფეხბურთელებს ჩავი ერნანდესს (2008, 2009, 2010, 2011) და ანდრეს ინიესტას (2012, 2013) ერგოთ.

IFFHS-მ ათი საუკეთესო გამთამაშებლის რეიტინგი გამოაქვეყნა. პირველ ადგილზე კროოსი 110 ქულით გავიდა და მეორეადგილოსან ლიონელ მესის მხოლოდ ორი ქულით გაუსწრო. მესამე პოზიციაზე „სამეფო კლუბის“ კიდევ ერთი ფეხბურთელი ხამეს როდრიგესია. კოლუმბიელი 2014 წელს მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 23 წლის ფეხბურთელი 2014 წლის საუკეთესო გოლის ავტორიცაა.

გიორგი ზოთაძე

◎ ფუტსალი

ბალტიური ნობათი

ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულს მნიშვნელოვანი წარმატებით შეხვდა საქართველოს ფუტსალის ტთა ეროვნული ნაკრები.

კაუნასში გამართული „ევრო-2016“-ის შესარჩევი ეტაპის დასკვნითი მატჩი „ჯვაროსნებმა“ 8:2 მოუგეს მასპინძლებს და პირველი ადგილი დაიკავეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ელიტ-რაუნდში პორტუგალიასთან, რუმინეთთან და ყაზახეთთან ერთად ითამაშებენ, ფინალურ ტურნირში კი, რომელიც გაისად სერბეთში მოეწყობა, აღნიშნული კვარტეტიდან მხოლოდ საუკეთესო იასპარეზებს.

სხვათა შორის, ლიტვური ბატალიები 7 ქულით დაასრულეს შვეიცარიელებმაც, მაგრამ ისინი ჩვენს გუნდს ბურთების შეფარდებით ჩამორჩნენ. შეგახსენებთ, რომ ფავორიტთა პირადი ბრძოლა ფრედ – 1:1 დამთავრდა, ნეიტრალური ქვეყნის ქვეშევრდომები კი თამაშგარე მდგომარეობაში აუტსაიდერ ესტონელებთან ფინიშზე მოპოვებულმა მოკრძალებულმა გამარჯვებამ დატოვა – 7:5.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

შენგელიას 12 ქულა ბასკებს გამარჯვებაში დაეხმარა

თორნიკე შენგელიას „ლაბორალ კუჩამ“ ესპანეთის ჩემპიონატში „ობრადოირო“ 85:77 დაამარცხა, საქართველოს ნაკრების ფორვარდმა კი გამარჯვებაში ტრადიციულად სოლიდური წვლილი შეიტანა.

თოკო სასტარტო ხუთეულში იყო და 23 წუთში 12 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველმა კალათბურთელმა 5-დან 4 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, ბურთი 3-ჯერ დაკარგა, მის წინააღმდეგ 3-ჯერ დაჯარიმდნენ, თავად კი სათადარიგოთა სკამზე 5 პერსონალური ფოლის გამო ბოლოსწინა წუთზე გადაინაცვლა.

ბასკური კლუბის რიგებში საუკეთესო ამერიკელი ცენტრი კოლტონ აივერსონი იყო, რომელმაც ორმაგი დუბლი (14 ქულა, 15 მოხსნა) შეასრულა, სტუმრებს კი პოლონელმა ლეგიონერმა ადამ ვაჩინსკიმ ულიდერა 26 ქულით.

8 მოგებით და 9 მარცხით „ლაბორალ კუჩამ“ მე-9 ადგილზე გადაინაცვლა, შემდეგ მატჩს კი 25 იანვარს ისევ შინ კატალონიურ „ბარსელონასთან“ ჩაატარებს. მანამდე, 23-ში, შენგელიას კლუბი ევროლიგის ეგიდით პირეოსში „ოლიმპიაკოსს“ ესტუმრება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

თამამი და ენაჭარბალა ლენოჩკა

რუსი ჰოკეისტი იგორ მაკაროვი ბოლო წლების განმავლობაში ევროპული და არამხოლოდ ევროპული ბულვარული პრესის „საკბილო“ მუდმივად ხდება. ამის მიზეზი იგორის მოდელი ცოლი ლენა კუდრეცოვაა, რომელიც თავისი თამამი ქცევითა და სიკისკასით საყოველთაო ყურადღებას იპყრობს.

ენა კუდრეცოვა წარმოშობით სტავროპოლიდანაა, მოდელობა მოსკოვში დაიწყო და მის სამოდელო საქმიანობას დიდი გასავალი ცნობილ ჰოკეისტზე გათხოვების შემდეგ მიეცა. ამ ქალმა არა მხოლოდ თამამი ფოტოგადაღებებით, თამამი ინტერვიუებითა და განცხადებებითაც გამოიჩინა თავი.

ამას წინათ ეს ჩვენი ლენოჩკა ადგა და ერთ-ერთი ესპანური ბულვარული ჟურნალის წარმომადგენელს ლამის დეტალურად მოუყვა მასსა და იგორს შორის შემდგარი სექსუალური აქტების მთელი პერიპეტიები და ასეთ ამბავს აბა რომელი „ყვითელი“ ჟურნალი არ დაბეჭდავს?...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რალი

ალ-ატიამ დაკარის რბოლა მოიგო

ყატარელი ნასერ ალ-ატიას გამარჯვებით დასრულდა რალი-მარათონ დაკარის წლევანდელი რბოლა. მიუხედავად იმისა, რომ წესის დარღვევის გამო მას პირველივე ეტაპზე გამარჯვება არ ჩაუთვალეს, ალ-ატიამ მეორე ეტაპზევე მოახერხა დაწინაურება და ფინიშამდე წინ აღარავინ გაუშვია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რბოლის ადრეულ ეტაპებზევე მას რამდენიმე კონკურენტი ჩამოშორდა, მათ შორის აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი, ესპანელი ნანი რომა, შესანიშნავ ფორმაში მყოფი არგენტინელი ორლანდო ტერანოვა და დაკარის ორგზის ჩემპიონი, ესპანელი კარლოს საინსი.

ეს ალ-ატიას მეორე გამარჯვებაა დაკარზე. პირველად მან დიდი რბოლა 2011 წელს მოიგო, როცა „ფოლკსვაგენის“ ავტომობილით იასპარეზა. ერთი წლით ადრე მან დაძაბულ ბრძოლაში 2 წუთი და 32 წამი წაგო კარლოს საინსთან და ეს დაკარის ისტორიაში ყველაზე მჭიდრო ფინიში იყო. ეს გამარჯვება მაინც განსაკუთრებული იყო, რადგან 9 000 კილომეტრის მანძილზე, 14 დღეში მას პრაქტიკულად არ დაუშვია შეცდომა. ამაში კი სოლიდური წვლილი მისმა ნავიგატორმა მატიო ბომელმა შეიტანა.

„ეს დაკარი ასი პროცენტით უზადო იყო ჩვენთვის: მანქანამ, ნავიგაციამ, გუნდმა და საბურავებმა, ყველამ და ყველაფერმა კარგად იმუშავა“, – ნარბოლევს განაცხადა ალ-ატიამ, ვინც ამიერიდან იმ მრბოლთა სიას შეუერთდა, რომლებსაც დაკარი ერთზე მეტად აქვთ მოგებული. ესენი არიან: ფრანგი რენე მეტჯი (1981, 1984, 1986), ფინელი არი ვატანენი (1987, 1989, 1990, 1991), ფრანგი პიერ ლარტიგი (1994, 1995, 1996), ფრანგი ჟან-ლუი შლესერი (1999 და 2000), იაპონელი ჰიროში მასუოკა (2002 და 2003) და ფრანგ სტეფან პეტერანსელი (2004, 2005, 2007, 2012 და 2013).

აღსანიშნავია, რომ ალ-ატიამ ვატანენის 1990 წლის მიღწევა გაიმეორა – სტარტიდანვე დომინირებდა, თუმცა, პირველ ეტაპზე გამარჯვება გაუუქმეს. რა თქმა უნდა, ბოლო ეტაპზე ყატარელს გარისკვა არც უცდია – მისთვის მთავარი ფინიშამდე მისვლა იყო. საქმე კი ძლიერმა წვიმამ გაუადვილა, რადგან ამის გამო დისტანცია 174-დან 34 კილომეტრამდე შემცირდა.

მატიოსთვის ეს ორმაგად განსაკუთრებული მომენტი იყო. ჯერ ერთი, მან თავის კარიერაში პირველად მოიგო დაკარი. მეორეც, ფინიშის დღეს მას 39 წელი შეუსრულდა.

კოგა კოგახიძე

◎ ვანდალიზმი

კიდევ ერთი სირცხვილი

მე-20 საუკუნის ქართული თეატრის ისტორიაში ოთარ მელვინეთუხუცესი ის კაცი-ეპოქა გახლავთ, რომელმაც თავისი დროისა და ისტორიის სულის-კვეთება განასახიერა. თავისი უზადო სამსახიობო ოსტატობით მან სამუდამოდ დაამახსოვრა თავი თეატრისა და კინოს უამრავ მაყურებელს.

2015 წლის 16 იანვარს, დიდი მამულიშვილის დაბადების დღეს, მადლიერმა ქართველმა ხალხმა ქალაქის შუაგულში მას დიდებული ძეგლი დაუდგა. ხალხმრავალ შეკრებაზე გამოსულებს მადლობის სიტყვები არ დაუშურებიათ თბილისის მერიისა და საკრებულოს თავკაცების დავით ნარმანიასა და გია ალიბეგაშვილის მიმართ, რომელთა ძალისხმევით მნახველთა წინაშე ცნობილი მოქანდაკის ლევან ვარდოსანიძის ქმნილება წარსდგა.

საზეიმო განწყობა საღამოსაც გაგრძელდა, სადაც კ. მარჯანიშვილის თეატრის ცნობილმა მსახიობმა გია ბურჯანაძემ თავისი მოგონებებით გააცოცხლა ბატონი ოთარი — ეს უდიდესი ნიჭისა და კეთილშობილი სულის პიროვნება.

თუმცა, კი რის ქართველები ვართ, რომ ხალხის უსაყვარლესი მსახიობი-სადმი მიძღვნილი ზეიმი არ გაგვეფუჭებინა და თავი არ „გვესახელა“. იმავე ღამით, ვიღაც არამზადებმა ვანდალური აქტი ჩაიდინეს და ბატონი ოთარის ძეგლი დააზიანეს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ საქციელს სხვა ეროვნების კაცი არ ჩაიდენდა. იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერი გაირკვევა და თავისი სახელი დაერქმევა.

ბატონი ოთარის სული მაპატიებს, მაგრამ ერთი ამბავი მინდა გიამბოთ. 15 წლის განმავლობაში სახლში ორი ოთხფეხა მეგობარი მყავდა. არ დავმალავ, დღეს მათ გარეშე ძალიან მიჭირს. ამ წლების განმავლობაში კარგად შევისწავლე მათი ფსიქიკა, ქცევა. ისინიც ჩემს აზრებს კითხულობდნენ. ერთხელს სტუმრად მყოფ მეგობარს ვკითხე, თუ იცი, დედამიწაზე რომელი ცხოველია ყველაზე სულელი-მეთქი, მან პასუხი დააყოვნა, თუმცა მერე თავად მკითხა — რომელიო, ვუპასუხე — ძაღლი, რატომო, იმიტომ, რომ ადამიანთან მეგობრობს-მეთქი.

სამწუხაროდ, რაც ბოლო ათწლეულებშიც ვნახეთ, რომ ადამიანი ყველაფრის მკადრებელია. კაცის სახელი არ ჰქვიათ იმათ, ვინც ჩვენი უსაყვარლესი მსახიობისა და მეგობრის ძეგლი დაზიანა. მომხდარი ჩვენი საზოგადოების დიდ სირცხვილად მიმაჩნია.

ასეთი სამარცხვინო აქტი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს — ეს ხომ ჩვენი პრესტიჟის საქმეა. ისე, სამარცხვინო ამბავი როდესაც შევიტყვე, საკუთარ თავს კითხვა დავუსვი — განა რა ხალხი ვართ, ამ ამბის ჩამდენი ქართველები? ოთარ მელვინეთუხუცესის ძეგლს რომ შეგნებულად აზიანებს — განა ასე სახელმწიფოს ააშენებენ?!.

დემიკო ლოლაძე.

ავტორის ფოტო.

სურათზე: მსახიობის მეუღლე გურანდა გაბუნია და მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძე ოთარ მელვინეთუხუცესის დაზიანებულ ძეგლთან.

◎ ახალი გაზეთი

„არაგვიანი“ - არაგველთა საქმის გამგრძელებელი

ძართული **პრესის დიდ ოჯახს კიდევ ერთი წევრი შეემატა — მცხეთის თემის სახალხო გაზეთი „არაგვიანი“. გაზეთის მთავარი რედაქტორი, პოეტი და პუბლიცისტი, ჩვენი გაზეთის ყოფილი თანამშრომელი და ერთგული ავტორი, ქალბატონი ლია ჭიღლაძე გახლავთ. ეს ჩვენთვისაც სასიხარულო და საპასუხისმგებლოა.**

„არაგვიანი“ ჟურნალისტებს პირველი, საახალწლო ნომრის გამოსვლას ულოცავენ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი, ბატონი ნუგზარ ყიფიანი და უძველესი სატახტო ქალაქ მცხეთის მერი, ბატონი ავთანდილ ნემსიწვერიძე. მასალები გაზეთის დანიშნულებასა და გეგმებს გვაცნობს და შორეულ წარსულშიც გადავყავართ.

„ლეგენდის მიხედვით, კრწანისის ომში მიმავალ 300 არაგველს მცხეთასთან შიკრიკი შეეგება, რომელმაც ერეკლე მეფის დანაბარები გადმოსცა, ომში მოძღვრის დალოცვის და კურთხევის გარეშე არ შეხვიდეთო. მეფის ბრძანებას დაემორჩილნენ, მაგრამ მოძღვარი იგვიანებდა...

უცებ მეწინავე დაიხარა, პეშვით მიწა აიღო და ლაშქარს მიმართა: განა ეს მიწა ჩვენი წინაპრების სისხლით ნაკურთხი არ არის? შევჭამოთ და ნუღარ ვაგვიანებთ!.. სამასივემ იგემა მშობლიური მიწა და ქრისტეს მხედრები გულანთებულნი დაეშვნენ თბილისისკენ, სადაც მათი ბედი უფლისგან უკვე გადაწყვეტილი იყო“...

სწორედ ასეთი ქართველების შთამომავლები ვართ არაგველები! მეტი მოგვეცა და მეტი მოგვეთხოვება. სწორედ იმ არაგველთა შთამომავლებისთვის და არა მარტო მათთვის, იტვირთეს ჟურნალისტებმა ესოდენ შრომატევადი საქმე, რასაც ახალი გაზეთის გამოშვება ჰქვია, მათი სიხარულისა და პრობლემების გაშუქება-გაზიარება. გაზეთის ფურცლები მზადაა მათთვის, ვინც თავდადებულად იღვწის და იბრძვის უკეთესი მომავლისთვის, ვინც გარშემომყოფებისთვის ზნეობრივი გმირობის მაგალითს იძლევა.

ღმერთმა გისმინოთ და ხელი გაგიმართოთ, კოლეგებო!

ავთანდილ ბექაური

რეკლამა 299-62-77; 568 82-09-84..

ეპიტაფია

გამოჩენილი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე

შოთა ორჯონიკიძის ხსოვნას



საქართველოს საინჟინრო აკადემია იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ინჟინერი და მეცნიერი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სამთო-ეკოლოგიური სპეციალური ტრანსპორტის განვითარების სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის შპს „საქსპეცტრანსის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, ასოციაცია „საქართველოს საბაგირო და მონორელსური ტრანსპორტის“ გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი **შოთა ორჯონიკიძე** და დიდი გულისტკივილით სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

შოთა ორჯონიკიძე დაიბადა 1929 წლის 14 ოქტომბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ ღორეშაში, 1947 წელს დაამთავრა ბორჯომის პირველი ვაჟთა საშუალო სკოლა, 1952 წელს კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მიენიჭა სამთო ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის კვალიფიკაცია.

1952 წლიდან 1975 წლამდე მან განვლო სასახელო შრომითი გზა მაღაროს უბნის ოსტატ-ელექტრომექანიკოსიდან — სამთო მრეწველობის ავტომატიზაციის მთავარ კონსტრუქტორამდე, წარმოებისგან მოუწყვეტლად დაამთავრა ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მის მიერ დამუშავებული იქნა გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ მაღაროს შიდა ტრანსპორტის, ბაგირგზების და მადნის გადამამუშავებელი ფაბრიკების ავტომატიზაციის კომპლექსური პროგრამა, ევროპაში უდიდესი პიკალევოს თიხამიწის კომბინატში დაფქვის საამქროს კომპლექსური ავტომატიზაცია, თბილისის წყალსადენების ავტომატიზაციის და ტელემექანიზაციის პირველი რიგის სამუშაოები და სხვა.

1975 წელს ბატონი შოთა დაინიშნა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბაგირო ტრანსპორტის განვითარებისა და ექსპლუატაციის სამართლის „საქბაგირგზას“ უფროსად.

შოთა ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა და დაინერგა ახალი კონსტრუქციები და ავტომატიზაციის საშუალებები, დაპროექტდა და აშენდა საბაგირო ტრანსპორტის სისტემები თბილისში, ხულოში, ყაზბეგში, ლენტეხში, მესტიაში, ბაკურიანში, გუდაურში, მოსკოვში, მონორელსური სისტემები ქობულეთში, ლანჩხუთში, გაგრაში და სხვაგან.

მან მთელი თავისი ცხოვრება შესწირა საქართველოში სპეციალური ტრანსპორტის — საბაგირო და მონორელსური, შვილზე მეტად ნაფერებნალოლიავები დარგის შექმნა-განვითარების საქმეს. ბოლო წლებში ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე გარდაქმნა-რეფორმების გამო, ტრანსპორტის სამინისტროს გაუქმების შემდეგ, სპეციალური ტრანსპორტი დარჩა სახელმწიფო სტრუქტურების გარეთ. დარგის განსახელმწიფოებრიობაც ველარ მოხერხდა მისი სპეციფიკურობის გამო. დარგი აღმოჩნდა განადგურების წინაშე. ოთხმოცდაცამეტ წელს გადაცილებულმა ბატონმა შოთამ რკინის ქალამნებითა და ოთარაანთ ქვრივის შეუპოვრობით საქართველოს ხელისუფლების ყველა დონის ხელმძღვანელი დაარწმუნა, რომ მთაგორიანი რელიეფის მქონე საქართველოში საბაგირო გზების გარეშე ტურისტული ცენტრების მასობრივი განვითარება შეუძლებელი გახდებოდა, რაც დააზარალებდა ქვეყნის ეკონომიკას. ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა თვალნათლივ დაინახეს ქვეყნის ბედ-იღბალზე მოფიქრალ-მოჭირნახულე მამულიშვილის ნათელი აზრის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით სპეციალური ტრანსპორტის სამსახური შევიდა სახელმწიფო ტრანსპორტის სააგენტოს სტრუქტურულ დანაყოფად, რაც საქართველოს ხელისუფალთა წყალობით დარგის ფაქტობრივ გადარჩენას მოასწავებს.

ბატონი შოთა აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სატრანსპორტო პრობლემების კომისიას, ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ორდენებით და მედლებით.

იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა, სამეგობროში ძალიან გულთბილი, ყურადღებიანი და საიმედო მეგობარი.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის თანამშრომლები, კოლეგები და მეგობრები არასოდეს დაივიწყებენ ბატონი შოთა ორჯონიკიძის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის
პრეზიდიუმი

◎ ალიან-ჩალიანი

რუსთავი თბილისს უფრო მეტად „დაუახლოვდება“

თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მესამე, 6.5-კილომეტრიან მონაკვეთზე, გზის მარჯვენა (ფონიჭალა-რუსთავის) მიმართულებით ცემენტ-ბეტონის საფარის დაგება უკვე დასრულებულია.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის პირველმა მოადგილემ გიორგი ამაშუკელმა მუნიციპალური განვითარების ფონდისა და კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად აღნიშნული მონაკვეთი დაათვალიერა.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, დაგებულ 6.5 კმ-იან მონაკვეთზე ამჟამად მიმდინარეობს უსაფრთხოებისა და გზის შემოფარგვლის სამუშაოები, ასევე ხორციელდება ლითონის ზღუდარებისა და საგზაო ნიშნების დაყენება. უკვე დასრულდა 2 სატრანსპორტო კვანძის (ხიდის) მშენებლობა, ფეხით მოსიარულეთათვის გათვალისწინებულ სამ ხიდზე კი ძირითადი სამუშაოები უკვე შესრულებულია. აღნიშნულ მხარეს სანტრანსპორტო საშუალებებისთვის მოძრაობა ორმხრივ რეჟიმში, სავარაუდოდ, მიმდინარე თვის ბოლოს გადაერთვება.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, პროექტის დასრულების შემდეგ თბილისიდან რუსთავამდე გზის დაფარვა 15 წუთში იქნება შესაძლებელი, გადაადგილება კი მაქსიმალურად უსაფრთხო და კომფორტული გახდება. პროექტის ფარგლებში ავტომაგისტრალზე აშენდება გზაგამტარები, სატრანსპორტო კვანძები, მიწისქვეშა, სატრანსპორტო და საფეხმავლო ხიდები, მოეწყობა ტროტუარები. ზემოთ ჩამოთვლილი ინფრასტრუქტურის განვითარების შემდეგ კი, თბილისი-რუსთავის გზა სრულად განტვირთავს ამ მიმართულებით ორმხრივ მოძრაობას.

„ალფა ტერიტორიის“ ექსკლუზიური იზოლაცია“

მდიდრები და... უფრო მდიდრები

კაცობრიობის მესამე ათასწლეულში შესვლა ერთგვარად ახალი ეპოქის კარიბჭის ზღურბლის გადაბიჯებას ჰგავს: მრავალი, თითქოსდა სამარადისოდ დამკვიდრებული წარმოდგენა, ვთქვათ, სიმდიდრისა და სიღატაკის შესახებ, ახლა აშკარად სხვა განზომილებაშია გადასული. თუ სიღარიბესთან, უფრო სწორად კი მის და „მატერიალურ ცენზთან“ არანაირი კითხვა არ წარმოიშვება, სიმდიდრის კრიტერიუმები (თურმე!) შეიცვალა, თანაც, საგრძნობლად. ყოველ შემთხვევაში ამას ასე მიიჩნევს ბურჟუას გარკვეული ნაწილი, რაც, როგორც ჩანს, მთლად საფუძველს არ არის მოკლებული.

დაგვეთანხმებით, რომ მდიდარ ხალხშიც გარკვეული, ხშირად საკმაოდ საგრძნობი გრადაცია არსებობს. მაგალითად, განსხვავება „ჩვეულებრივ“ მილიონერსა და მილიარდერს შორის საკმაოდ დიდია. მეტიც: კარგა ხანია, იმ კაცს, ვისაც „მხოლოდ“ ათი მილიონი აქვს, მაინცდამაინც მდიდრად არ მიიჩნევენ.

მილიარდერთა „მსოფლიო დედაქალაქია **ლონდონი,** სადაც დედამიწაზე „უმდიდრესთა კლუბის“ 72 წარმომადგენელი ცხოვრობს. **მოსკოვში** 48 მილიარდერი ბინადრობს, **ნიუ-იორკში** — 43, **სან-ფრანცისკოში** — 42. შემთხვევითი როდია, რომ აქაურმა სოციოლოგებმა ახალი ტერმინიც კი შემოიღეს — **„ალფა ტერიტორია“, რასაც უმდიდრესი ადამიანებით დასახლებულ ცენტრის ნაწილს უწოდებენ.** მილიარდერებს ლონდონი შემთხვევით არ აურჩევიათ — აქ ისინი თავს შედარებით უსაფრთხოდ გრძნობენ. მაგალითად იქ ნებისმიერ მათგანს შეუძლია სახლიდან ფეშენებელურ კლუბში მისვლა, იქიდან მანქანით საკუთარ თვითმფრინავში ჩაჯდომა და რომელიმე ტროპიკულ სამოთხეში ტროტუარზე ფეხის დაუბიჯებლად მოხვედრა, რომელზეც „მდაბიონი დადიან“. ასეთი „ექსკლუზიური იზოლაცია“ ნიუ-იორკშიც კი არ არის!

რამდენიმე წლის წინათ ლონდონის „Arts club“-ში ვიქტორია ბექჰემის დაბადების მე-40 წლისთავი აღნიშნეს. ჯერ კიდევ 1863 წელს დაარსებულ კლუბში 10 მილიონ გირვანქა სტერლინგზე ნაკლები ფულის პატრონს რეკომენდაციას კლუბის არც ერთი ნამდვილი წევრი არ მისცემს. კიდევ ლონდონში დიდი წარმატებით მოღვაწეობს კომპანია „Quintessentially“, რომელსაც მსოფლიოში „ყველაზე უცნაურ მოურავს“ უწოდებენ: მისი თანამშრომლები ნებისმიერ ახირებას შეასრულებენ. მაგალითად, ჩრდილოეთ პოლუსზე ექსკურსია 80 ათასი გირვანქა სტერლინგი (130 ათასი დოლარი) ღირს, აისბერგზე რომანტიკული საღამო — 190 ათასი გირვანქა სტერლინგი, ქორწილი ეგვიპტურ პირამიდაში — 150 ათასი გირვანქა სტერლინგი. მსურველს შეუძლია კერძო თვითმფრინავით დედამიწის გარშემო იმოგზაუროს, რა დროსაც მას შეკვეთილი მომღერლები და პოპჯგუფები გაართობენ — ეს სიამოვნება სულ რაღაც 500 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს.

ბრიტანული მასმედიის ცნობით თუ ვიმსჯელებთ, ექსტრავაგანტობის მხრივ უდავო ლიდერები რუსები არიან. ძნელი სათქმელია, რა უფრო მეტად გახდა ინგლისში ტელესერიალის „დახვდით რუსებს!“ გადაღების მიზეზი — გაოცება თუ შიშის ზარი, მაგრამ ამ ფილმში ლონდონში რუსი ოლიგარქებისა და მათი მეგობარი ქალბატონების თავგადასავლებია ასახული. ისე კი, სინამდვილეში რუსეთელი ნუვორიშები ტელეგმირებს ნამდვილად „უჯოკრავენ“: მაგალითად, **ერთ-ერთმა მათგანმა ვახშმობა... ინგლისის დედოფალთან და ამერიკელ კინოვარსკვლავ რიჩარდ გირთან ერთად მოისურვა. მეორემ... ელვის პრესლის მოყვანა მოითხოვა, რომელიც, თითქოსდა, დღესდღეობითაც ცოცხალია... ბუნებრივია, რომ ასეთ დაკვეთებს ფირმა არ იღებს, თუმცა კი, ჯიბესქელ რუსებს „გულაობა“...ლუვრში კი მოუწყო — ეს „წვეულება“ ერთ-ერთი ოლიგარქის... პირველი ინტიმური კონტაქტის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად გაიმართა.**

ერთ ქალბატონს, რომელიც რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცის პოტანინის უზარმაზარ იახტაზე ავიდა და მისი ღირებულება იკითხა, ასე უპასუხეს: „ჩემო კარგო, ამას თუ კითხულობთ, მაშინ ხეირიანი იახტის ყიდვის შესაძლებლობა ნამდვილად არა გქონიათ!“.

ინგლისელთა ოჯახები, ვისაც ბავშვებისთვის ძიძა სჭირდებათ, ადრე ამ მომსახურებაში კვირაში 200-300 გირვანქა სტერლინგს იხდიდნენ, ახლა ამ მომსახურების ბაზაზე კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა — რუსეთელი ჯიბესქელი კლიენტები კარგ ძიძებს კვირაში 1200-1500 გირვანქა სტერლინგს უხდიან, თან ყველაზე მოდურ ტანსაცმელს ყიდულობენ მათთვის.

პრესტიჟული კერძო სკოლა ბრიტანეთში — ძალიან ძვირი ფუფუნებაა, მაგრამ მასზე გაცილებით ძვირია ბავშვთა კერძო კლუბი. ზოგიერთი მაგნატი თავის შვილებს ასეთ კლუბებში ყოველ შაბათ-კვირაობით აგზავნის. იქაური სერვისების ჩამონათვალს, უბრალოდ, აზრი არა აქვს: თქვენ ოდესმე რამე მოგისურვებიათ, ანდა, სულაც გიოცნებიათ, რომ მოგესურვებინათ? ჰოდა, იქ ყველაფერი ეს არის! საშუალოდ, ასეთ კლუბში წევრობა, წელიწადში 100 ათასი გირვანქა სტერლინგი ჯდება, ამიტომ ბევრ მილიონერს ამის ფული არა აქვს...

ნინო ალექსანდრია

დაინჯესტი

ნუ ისუნთქებთ სხვისი კვამლით

იმ ადამიანებს, ვინც მწეველების გვერდით ცხოვრობენ, გაზრდილი აქვთ გულსისხლძარღვთა დაავადებებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის რისკი, გვაფრთხილებენ ამერიკელი მეცნიერები. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ თამბაქოს კვამლი აქვეითებს უჯრედების მგრძნობელობას ინსულინისადმი, ხელს უწყობს პასიური მწეველების წონის გაზრდას.

მეცნიერებმა ლაბორატორიულ თაგვებზე გამოსცადეს თამბაქოს კვამლის ზემოქმედება და ანალიზი გაუკეთეს ცვლილებებს ცხოველთა მეტაბოლიზმში. აღმოჩნდა, რომ სიგარეტის კვამლის ნივთიერებანი იწვევენ შეფერხებებს მითოქონდრიების მუშაობაში და ხელს უწყობენ განსაკუთრებული ლიპიდების — ცერამიდების — გამომუშავების გაძლიერებას ფილტვებისა და კუნთების ქსოვილებში. სწორედ ამას მივყავართ წონის შემდგომ მატებასთან. თაგვები პასიური მწეველების მოდელები იყვნენ, მაგრამ კვლევების შედეგები აქტუალურია თავად მწეველებისთვისაც.

„შესაძლებელია, ჩვენი გამოკვლევის შედეგები დამატებითი მოტივაცია გახდეს იმათთვისაც, ვინც ცდილობს მიატოვოს მოწევა“, — მიაჩნიათ მეცნიერებს.

არ გვინდა მოულოდნელობანი

ასაკთან ერთად მისწრაფება სიურპრიზებისკენ ქალებს უმცირდებათ, — აჩვენა გამოკითხვამ ერთ-ერთ საიტზე. თუ გამოკითხულ 24 წლამდე ქალიშვილებს შორის 73 პროცენტს სურდა საჩუქარი სიურპრიზის სახით, 25-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში ასეთები იყო უკვე 62 პროცენტი, 35-44 წლის ქალბატონების მხოლოდ 53 პროცენტს გაუხარდებოდა მოულოდნელი საჩუქარი.

ცინცხალი ანეკდოტები

— გახსოვთ, შარშან ჩვენი ბანკიდან 300 ათასი დოლარი რომ ისესხეთ? — ეკითხება ბანკირი მიხოს.

— რა თქმა უნდა, შესანიშნავად მახსოვს.

— რახან გახსოვთ, მითხარით, როდის დამიბრუნებთ ჩემს ფულს...

— აბა, რა ვიცი, წინასწარმეტყველი კი არა ვარ...

* * *

— **ვასკა,** გიყვარვარ?

— ფული არა მაქვს.

— ფული რა შუაშია, მე გრძნობებზე გელაპარაკები...

— მიყვარხარ, დაშა, ძალიან მიყვარხარ!

— ამას უკვე არა აქვს მნიშვნელობა.

* * *

— **ძვირფასო,** ხომ შეიძლებოდა, რომ ჩვენ არასოდეს შევხვედროდით ერთმანეთს, — ეუბნება ცოლი ქმარს.

— აბა, რა ჯანდაბად მივძვრებოდი იმ კანალიზაციის ჭაში.

* * *

ძორწინების პირველი წლის შემდეგ ჩემს ცოლს როგორღაც წამოსცდა:

— ოჯახის უფროსი ხომ შენ ხარ? ჰოდა, შენვე გადაწყვიტე.

— რატომ ვარ მე ოჯახის უფროსი? — შევეწინააღმდეგე. — ჩვენ ხომ მუდამ ერთად ვწყვეტთ ყველა საკითხს.

— სულერთია. შენა ხარ ოჯახის თავი.

— რატომ მე?

— ნუ მეკამათები, — ხმა გაუმკაცრდა ცოლს. და მას მერე მე ვარ ოჯახის უფროსი.

* * *

ნუ კითხულობ, რისი გაკეთება შეუძლია შენთვის შენს სამშობლოს.

შენ ხომ არც ჩინოვნიკი ხარ და არც დეპუტატი.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24